ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის ქართველი

გამოდის გაზეთის 1921 წლიდან

25 აპრილი ხუთშაბათი 1991 № 47 (11680)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

28 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

სესიის დღის წესრიგის განხილვისას გამოვიდნენ დეპუტატები დავით ბერძენიშვილი და ნოდარ ნათაძე, რომლებმაც წინადადება წამოაყენეს დღის წესრიგში შეეტანათ საკითხები ამ ბოლო ხანს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და შიდა ქართლში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ, მაგრამ შემდეგ სიტყვა აიღო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც უზენაესი საბჭოს წევრებს გააცნო ამ რეგიონების საერთოდ მდგომარეობა, ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება იქ სიტუაციის ნორმალიზაციისათვის, თქვა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია სესიის ახლანდელ სხდომაზე ამ საკითხების განხილვა, რასაც დეპუტატებიც დაეთანხმნენ.

დღის წესრიგის პირველ სამ საკითხზე — საქართველოს რესპუბლიკის კანონებზე: პრეფექტურის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის ხელმძღვანელი გიორგი გულბანი. უზენაესმა საბჭომ მიიღო სამივე კანონი.

შემდეგ დეპუტატებმა განიხილეს „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილებათა შეტანის საკითხი, რომელიც წარმოადგინა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ნუგზარ მოლოდინაშვილმა. მიიღეს შესაბამისი კანონი, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონის მეორე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად ავადმყოფი მოქალაქენი, რომლებიც სასამართლოს მიერ ცნობილი არიან არაქმედუნარიანად, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არიან, ან რომელთა მიმართ სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეულია პატიმრობა.

დღის წესრიგის მომდევნო სამ საკითხზე — საქართველოს რესპუბლიკაში ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ კანონის, ამ სამსახურის გავლის წესის დებულების დამტკიცების შესახებ. აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის ხელმძღვანელი ალეკო ვარძელაშვილი. დეპუტატებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები და გადაწყვიტეს გადაედოთ პირველი ორი საკითხის განხილვა. მესამე საკითხზე კი — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დავით კუპრეიშვილის წარდგინებით დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ და ამასთან დაკავშირებით კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, აგრეთვე დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ სესიამ აირჩია ევტიხი ბენდელიანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას წარდგინებით უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დაამტკიცა ზურაბ მინდელი.

მიღებულია დადგენილება, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ კანონის მეხუთე მუხლის შესაბამისად ვადამდე შეწყდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გივი გუმბარიძის უფლებამოსილებანი.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა აქტუალური საკითხის გამო განცხადებებითა და წინადადებებით გამოვიდნენ სასოფლო და სატყეო მეურნეობის მინისტრი ნიკოლოზ იაშვილი, დეპუტატები ნოდარ ნათაძე, აპოლონ სილაგაძე, ლოვარდ ტუხაშვილი, მინდია სალუქვაძე, ვლადიმერ მირცხულავა, დიმიტრი ქებურია, გიორგი ქავთარაძე, ბიმურზა აფრასიძე და რომან გოცირიძე.

ამით სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მინისტრად დანიშნა **ზურაბ ვიქტორის ძე მინდელი.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩია **ევტიხი შალვას ძე ბენდელიანი.**

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ **ვასილ გიორგის ძე მიქაშავიძე** დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 18 აპრილის კანონის მე-2 მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფებიან, ან რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეულია აღკვეთის ღონისძიება — დაპატიმრება“.

ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 23 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ტყვარჩელის №103 და გუდაუთის №106 საოლქო საარჩევნო კომისიები არ ფუნქციონირებენ, ცენტრალური საარჩევნო კომისია წინადადებით მიმართავს ტყვარჩელის ხალხის და გუდაუთის რაიონული საბჭოების პრეზიდიუმებსა და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, ტყვარჩელში და გუდაუთის რაიონში განლაგებულ შრომით კოლექტივებს, საშუალო სპეციალური სასწავლებლების კოლექტივებს, ამომრჩევლებს, ა. წ. 8 მაისამდე წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების კანდიდატურები.

საპარლამენტთაშორისო კონფერენციის რეზოლუცია „ლიტვის, ესტონეთის, ლატვიისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი დამოკიდებულების შესახებ“

დემოკრატიულ ფრაქციათა საპარლამენტთაშორისო კონფერენციას, ცნო რა ლიტვის, ესტონეთის, ლატვიისა და საქართველოს ხალხთა ნება თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამო, რაც ნათლად გამოხატეს ამ ქვეყნების პარლამენტებმა შესაბამის აქტებითა და დეკლარაციებით, აგრეთვე უმეტესად თავად ხალხებმა გამოკითხვებსა და რეფერენდუმებში, საჭიროდ მიაჩნია სსრ კავშირის იმპერიული სტრუქტურების დემონტაჟის პროცესში ყოველმაირად შეუწყოს ხელი ლიტვის, ესტონეთის, ლატვიისა და საქართველოს ფაქტობრივი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

1991 წლის 23 აპრილი.

მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის ჯანდაცვა: პრობლემები, პერსპექტივები

„უფასო და ხელმისაწვდომი“ თუ მაღალი დონე?!

როდესაც საუბარია საბჭოთა ჯანდაცვის სისტემაზე, უნებლიედ თვალწინ წარმოგვიდგება უღიმღამო პოლიკლინიკები და საავადმყოფოები, საუკუნის დასაწყისის დროინდელი აპარატურა, წამლების დეფიციტი. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი გახლავთ ეს ჩვენი „უფასო, ხელმისაწვდომი“ სამედიცინო მოსახურება, რომელიც, ცხადია, მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

უკანასკნელ ხანს საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმაც ახლებურად დაიწყეს დარგის განვითარებაზე ფიქრი და ზრუნვა. ყველამ იცის, რომ სამედიცინო ცენტრების დიდი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი. აქ არის საკავშირო, რესპუბლიკური, საქალაქო, რაიონული დაქვემდებარების პოლიკლინიკები თუ ჯანდაცვის სხვა დაწესებულებები. ქალაქში მუნიციპალური მმართველობის შემოღების შემდეგ ბევრი რამის კოორდინირება მოხდა. როგორ არის ამ მხრივ საქმე ჯანდაცვაში? ამ საკითხებზე საუბარი ვთხოვეთ თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსს, ქალბატონ ლალი გუჯაბიძეს.

— ქალბატონო ლალი, ახლა ჩვენთანაც დაიწყო საუბარი სადაზღვევო მედიცინაზე, რომელმაც, ჩვენი უფასო ჯანდაცვისაგან განსხვავებით, უცხოეთში დიდ წარმატებას მიაღწია ხალხის ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებაში. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ამ მოდელის საქართველოში დანერგვა?

— ეს მოდელი, მართლაც, ეფექტურად მუშაობს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, მაგრამ დღევანდელ ჩვენს რეალობაში მისი მექანიკურად გადმოტანა ალბათ სასურველი არ იქნება. ჩვენს უაღრესად დაძაბულ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში, როცა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შეუკავებელი ინფლაციის ფონზე მიმდინარეობს, მოსახლეობა დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ სადაზღვევო თანხის გადახდით ის მიიღებს ჰეშმარიტად მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას. ამის გარანტიას კი არ იძლევა არსებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების არც კადრები და არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ჯანმრთელობის დაზღვევის სქემა ასე წარმომიდგენია: სამსახურის ჩამოყალიბება, კადრები, სარეგლამენტაციო-საწესდებო დოკუმენტაცია, საბანკო ანგარიშის გახსნა და პირველადი კაპიტალდაბანდება. დაზღვეული მოსახლეობის საბაზო პოლიკლინიკები თუ სხვა ცენტრები და სტაციონარები ბიუჯეტურ ჩსელს უნდა გამოეყოს. უნდა ჩამოყალიბდეს ჯანმრთელობის სადაზღვევო ბანკი, გამოიძებნოს დაფინანსების წყაროები და ამ წყაროებში დიდი წილი უნდა იყოს დაზღვევის კოლექტიური შესატანები, სოციუზრუნველყოფის თანხები, დარგობრივი პროფკავშირების, პრივატული სადაზღვევო კომპანიების შესატანები, საბანკო ოპერაციებიდან მიღებული მოგება. ცხადია, დაკანონებული უნდა იყოს დაზღვეულ მოსახლეობასთან დაბრუნებითი ანგარიშსწორება.

— ქალბატონო ლალი, თქვენ აღნიშნეთ, რომ გახაუმჯობესებელია ჩვენი ჯანდაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მისი გაუმჯობესებაც ამ სადაზღვევო თანხებიდან მოხდება თუ ამაზე სახელმწიფო ეზრუნებს?

— როგორც წესი, სადაზღვევო სისტემის დროს შემოსული თანხის 70 პროცენტი ბრუნვაში არ არის, ქალაქის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საკავშირო, საკავშირო-უწყებრივი, რესპუბლიკური, რესპუბლიკურ-უწყებრივი, საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების ჯანდაცვის დაწესებულებები. რაც, ფაქტიურად, შეუძლებელს ხდის ქალაქის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მოცულობის განსაზღვრასა და სპეციალიზაციას. მიმაჩნია, რომ ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება (გარდა კვლევითი ინსტიტუტებისა) უნდა გაერთიანდეს ქალაქის ჯანდაცვის სისტემაში; ამგვარად, ყოველ მათგანს მიენიჭოს იურიდიული სტატუსი. უნდა ჩამოყალიბდეს ქალაქის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სამსახური, მაგრამ გარდამავალ პერიოდში შენარჩუნებულ უნდა იქნას მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ტერიტორიული პრინციპიც. ხოლო, რაც შეეხება სანიტარიულ სამსახურს, ის დამოუკიდებლად, ყოველგვარი დაქვემდებარების გარეშე უნდა ფუნქციონირებდეს სანიტარიული ინსპექციის სახით.

ჩემი აზრით, ჯანმრთელობის მუნიციპალური სამსახურის სტრატეგიულ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს ქალაქში სამეურნეოანგარიშიანი და პრივატიზებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების რიცხვის გაზრდა, რომელთაც უფლება ექნებათ თავად განაგონ ქალაქის ბიუჯეტიდან ძათთვის გამოყოფილი სახსრები, ეძიონ დაფინანსების ახალი წყაროები.

— აქედან გამომდინარე, ლოგიკურია რაიონული სამედიცინო რგოლების სტრუქტურული ცვლილებებიც...

— ქალაქის სამედიცინო სამსახურის რაიონებად დაშლაშვას, გარდა მმართველობითი ხარჯებისა, წმინდა პროფესიული ხარვეზებიც აქვს: დარღვეულია სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ერთიანობა. რაიონულ რგოლებში საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ცენტრალიზაციამ გამორიცხა ძირეული ცვლილების სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინიციატივა, წაართვა მათ ეკონომიკური მართვის სადავეები.

ყოველივე ის, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, ცხადყოფს, რომ ქალაქის რაიონების ამბულატორიულ-კლინიკური ქსელი, ფაქტიურად, უფუნქციოდ დარჩება და თუ შევეცდებით მის შენარჩუნებას, მაშინ მხოლოდ ზემდგომი სამედიცინო დაწესებულებების მადუბლირებელ ორგანოს მივიღებთ. ხოლო ზემოთახსენები გეგმის განხორციელება გზას უხსნის ჯანდაცვის სისტემის მართვის ვერტიკალური სტრუქტურიდან ჰორიზონტალურზე გადასვლას. ჯანდაცვა, ბოლოსდაბოლოს, გათავისუფლდება წვრილმანი ზემდგომი მეურვეობისაგან, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის ობიექტების მართვაში ოპერატიულობას, ფინანსურ საკითხთა სწრაფ გადაწყვეტას (რაც დღეს ერთ-ერთი რთული საკითხია მართვაში). და ყოველივე ეს მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ქალაქის რთულ ინფრასტრუქტურასთან.

ჩემი აზრით, საჭიროა, რომ ქალაქის პრეფექტურასთან შეიქმნას ჯანდაცვის, სოციუზრუნველყოფის, სპორტის დეპარტამენტი, რომელიც უხელმძღვანელებს ქალაქში არსებულ ყველა სამედიცინო დაწესებულებას. მოახდენს მათი დაფინანსების, მმართველობისა და ფუნქციონირების კოორდინაციას. ამით ჩვენ განვახორციელებთ საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ ადგილობრივი მმართველობის კანონზე დაყრდნობით ქვეყნის ხელმძღვანელობის სამედიცინო პოლიტიკას.

როგორც ხედავთ, ქალბატონმა ლალიმ ფრთხილად, დიპლომატიურად გამოხატა თავისი აზრი რაიონულ რგოლების სტრუქტურულ ცვლილებებზე, ქალაქის სამედიცინო დაწესებულებების ერთ ხელში თავმოყრაზე, რაც ასე საშური და აუცილებელია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში განსხვავებული დონეა მათი დაქვემდებარებისდა მიხედვით, რაც, სხვა რომ არა ვთქვათ რა, არადემოკრატიულია. ალბათ, დადგა დრო, რომ „უფასო და ხელმისაწვდომი“ ჯანდაცვიდან ნაბიჯი გადავდგათ მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებისაკენ და გაბედულად განვახორციელოთ სტრუქტურული ცვლილებები.

ესაუბრა ციალა გოგოხური

ესტონეთის სახალხო ფრონტის ჭრილობაზე

მიმდინარე წლის 13-14 აპრილს ქ. ტალინში გაიმართა ესტონეთის სახალხო ფრონტის მე-3 ყრილობა. სტუმართა ჩამოსათვალში პირველი გამოაცხადეს საქართველო, გაიმართა ოვაცია და დარბაზი დიდხანს უკრავდა ფეხზე ამდგარი ტაშს. იგივე განმეორდა ჩემი სიტყვით გამოსვლის შემდეგაც. ეს იყო საოცარი კეთილგანწყობა და მხარდაჭერა თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოსადმი. ესტონეთის მთავრობის თავმჯდომარემ დაწვრილებით გამოიკითხა საქართველოს ამბები. მეორე დღეს ყრილობამ მიიღო მომართვა საქართველოს ყველა დემოკრატიული ორგანიზაციისა და ქართველი ხალხისადმი. ყრილობის დამთავრებას შემდეგ გაიმართა გაფიცული მეშახტეებისადმი მიძღვნილი სახალხო კრება, პირველს მე მომცეს სიტყვა. გაეცი პასუხი შეკითხვებსაც. ჩემი გამოსვლა ამ კრებაზე გადასცა ესტონეთის რადიომ.

ახლა რაც შეეხება ყრილობის მიმდინარეობას და ესფ-ის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს დღევანდელ ეტაპზე.

ყრილობაზე ძირითადად სამი მთავარი თემა გამოიკვეთა: ა) პოლიტიკური მდგომარეობა და ესტონეთის სახალხო ფრონტის ხელისუფლების ორგანოებში მოწყობა; ბ) დამოუკიდებლობის ესტონური გზა; გ) ესტონეთის, სახალხო ფრონტის სტატუსის განსაზღვრა.

პირველი თემა ჩამოყალიბებული და გაშუქებულ იქნა ესფ-ს გამგეობის წევრის, ესტონეთის მთავრობის თავმჯდომარის ბატონ ედგარ სავისაარის მოხსენებაში, მან აღნიშნა, რომ რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წელს, მეზობლად აღარ იყო, შეიქმნა ესტონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო. დამოუკიდებლობა თვითონ მას არც ელოდნენ და არც [illegible] თვის. ამ ისტორიულ ფაქტზე ესტონეთში აქამდე ყურადღებას არავინ არ ამახვილებდა. ანალოგიური მანერით, დღეს დამოუკიდებლობის დეკლარირება შეუძლებელი, რადგანაც არსებობს ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც გინდა არ გინდა ანგარიში უნდა გაუწიო. ცალმხრივმა მოქმედებამ სასურველი შედეგი შეიძლება მოგვცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამისათვის არსებობს განსაზღვრული პირობები. ერთ-ერთი ასეთი პირობაა საკუთარი ფულადი შემოქცევის სისტემის შექმნა (ესტონური ფულის საკითხის ირგვლივ ყრილობაზე მეორე დღესაც იყო მსჯელობა).

ბ-ნ ედგარ სავისაარის აზრით, უკანასკნელ დროს იმპერიულ ძალთა შესუსტება გამოიწვია, ძირითადად, სამმა ფაქტორმა: ა) ძლიერმა დარტყმამ, რომელიც მიაყენეს პოლოზკოვის პარტიას რსფსრ-ს სახალხო დეპუტატთა მე-3 ყრილობაზე; ბ) მეშახტეთა გაფიცვამ, რომლებიც, ეკონომიკურთან ერთად აყენებენ სერიოზულ პოლიტიკურ მოთხოვნებს; დ) რუსეთის რეფერენდუმის შედეგებმა, რომელიც შეეხებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებას. რუსეთის **არჩეული** პრეზიდენტის გამოჩენა ძალზე საეჭვოს გახდის სსრ კავშირის **დანიშნული** პრეზიდენტის რეალურ უფლებამოსილებას. გორბაჩოვს შეიძლება შერჩეს ხელში მხოლოდ კრემლის პრეზიდენტობა. ეს ცენტრმა კარგად იცის. ამიტომ არიან დღეს კონსერვატული ძალებისათვის ნომერი პირველი მოწინააღმდეგენი ელცინი და მოძრაობა „დემოკრატიული რუსეთი“. რადგანაც არ შეუძლია ერთდროულად ებრძოლოს ყველა დემოკრატიულ მიმდინარეობას, კრემლი ურჩი რესპუბლიკების წინააღმდეგ ადგას გაჭიანურების ტაქტიკას.

აღმოსავლეთი და ცენტრალური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება არ ჩაითვლება დასავლეთისაკენ გადადგმულ ნაბიჯად. ეს არის მხოლოდ ძველი ვალების დაბრუნება და ამისათვის საბჭოთა კავშირი ვერ მიიღებს რაიმე კომპენსაციას დასავლელი პარტნიორებისაგან. ხოლო გამომდინარე ახლანდელი შიდა საკავშირო პოლიტიკის პოზიციიდან ბალტიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება ნეგატიურადაც შეიძლება იქნას შეფასებული, რადგანაც იგი შექმნის არასასურველ პრეცენდენტს.

ამრიგად, რჩება რა სათვალავში დასავლეთის შესაძლო დახმარება და ცენტრთან შემდგომი მოლაპარაკებაც, აუცილებელია იმის შეგნება, რომ დღეს ბალტიის ქვეყნების სუვერენიტეტისათვის მხარდაჭერა ძევს მხოლოდ რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის დემოკრატიულ მოძრაობებში; საქართველოს, მოლდოვისა და სომხეთის დამოუკიდებლობის აღდგენაში; მეშახტეთა გაფიცვაში. სანამ ესტონელ ხალხს არ ეყოლება სერიოზული მოკავშირე აღმოსავლეთში, კრემლთან მოლაპარაკებისას წარმატების იმედი არ უნდა გვქონდეს.

ერთი შეხედვით გაუგებარია, რატომ არაფერს აკეთებს ცენტრალური ხელისუფლება ეკონომიკაში მდგომარეობის რეალური გაუმჯობესებისათვის. ეს გვაფიქრებინებს, რომ ცენტრი დაინტერესებულია, რათა ქვეყანაში უკიდურესობამდე გაუარესდეს მდგომარეობა, რათა მერე ადვილი გახდეს მთელი ხალხის გაერთიანება მათი უკმაყოფილების ნიადაგზე და მართვის დიქტატორული ფორმების შემოღება უნიტარული სახელმწიფოს გასამტკიცებლად.

მთავრობის თავმჯდომარე თავის მოხსენებაში შეეხო აგრეთვე, ესტონეთში მცხოვრები რუსების საკითხსაც და აღნიშნა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა არის გარანტია თუ სამოქალაქო მშვიდობისა არა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას დაზავებისა მაინც.

მეორე თემის — „დამოუკიდებლობის ესტონური გზა“ — შინაარსი ჩამოყალიბებულ იქნა ბ-ნ მატი ჰაიდმეტსის მოხსენებაში. „დამოუკიდებლობის ესტონური გზა“ ფაქტობრივად არის ექსპერტების მიერ შედგენილი რეკომენდაციების კრებული, რომელიც ითვალისწინებს გარდამავალი პერიოდის დასრულებისათვის ღონისძიებებს, (შევეცდებით აღნიშნული საკითხი ცალკე პუბლიკაციაში გავაშუქოთ უფრო ფართოდ). ეს თემა მოიცავს ძირითადად ინტერესთა სამ სფეროს. ესენია: პირველი — ესტონეთის მთელ ტერიტორიაზე კონტროლის განხორციელების აუცილებლობა; მეორე — რესპუბლიკის ეკონომიკურ ცხოვრებაზე კონტროლი; მესამე — სახელმწიფო სამართლის სისტემის შექმნა საკუთარი სახელმწიფოებრიობის პირობებში.

რაც შეეხება მესამე თემას, ესტონეთის სახალხო ფრონტის სტატუსის შესახებ, ყრილობაზე იყო მისი მოძრაობიდან პარტიად გარდაქმნის მცდელობა. იყვნენ ამ იდეის როგორც მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენიც, იყვნენ კომპრომისული გადაწყვეტილების მომხრენიც, რომლებიც მოითხოვდნენ ესფ-სთან შეექმნათ პარტია, რომლის სიშუალებითაც შეძლებდნენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. რადგანაც ვერც ერთმა წინადადებამ ვერ მოაგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, ყველაფერი დარჩა ძველებურად. შეიმჩნევა ტენდენცია იმისა, რომ ფრონტის წიაღში შექმნილი პარტიები ფრონტისაგან დამოუკიდებლობას ესწრაფვიან.

სხვა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები და საკითხები არ წამოჭრილა ყრილობაზე, თუ არ ჩავთვლით ესფ-ს პროგრამაში ზოგიერთი ცვლილების შეტანას, ახალი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებს (ბ-ნი ედგარ სავისაარი ისევ აირჩიეს გამგეობის შემადგენლობაში), რიგი დეკლარაციების, მომართვებისა და რეზოლუციების მიღებას და სხვა საორგანიზაციო და „საოქმო“ ხასიათის საკითხების გადაწყვეტას.

ჯენრი კუპარაშვილი,
საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი.

რისთვის კლავენ ერთმანეთს ბიჭები?!

ამ დღეებში კიდევ ერთმა ტრაგედიამ შეაშფოთა თბილისი: დღისით, მზისით, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ქედელთან მოკლეს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები დათო ჯორბენაძე და ზაზა როინიშვილი. მკვლელობის ადგილას ახლა მათი სურათებია გამოკრული და თანატოლები ყვავილებს აწყობენ.

ცხადია, საზოგადოებრიობა შეშფოთებულია და მოელის დროულ რეაგირებას. ჩვენ დავუკავშირდით ვაკის რაიონის პროკურატურას, სადაც მკვლელობის ფაქტზე იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო 22 აპრილს საქმე წარმოებაში გადაეცა ქალაქის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამომძიებლო ჯგუფს, რომლის უფროსია მიხეილ მამლიაშვილი. ამ ჯგუფში შედის აგრეთვე ვაკის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი გორდა სანიკიძეც. როგორც იურისტებმა თქვეს, არსებობს ერთ-ერთი ვერსია, რომ მკვლელობა მოხდა ტყავის ქურთუკის გამო (!!!). დაპატიმრებულია ერთი ეჭვმიტანილი, მეორეს ვინაობაც დადგენილია, ჯერჯერობით, ვიდრე გამოძიება არ დასრულდება, ამის მეტის თქმის უფლება არც ჩვენ გვაქვს და არც იურისტებს, მაგრამ ერთი რამ კი უნდა ვთქვათ: როდემდის გაგრძელდება ძმათაშორის სისხლისღვრა, ნუთუ არ ქმარა სამაჩაბლოში დაღვრილი სისხლი?

გამოძიების დასრულების შემდეგ მკითხველს მოვუთხრობთ მკვლელობის მიზეზებსა და გამოძიების შედეგებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იქ“ თავისუფლებას ვეძებ...



არა, პოლიტიკურ თავისუფლებაზე არ ვსაუბრობ. დღეს სხვა მხრივ წარვმართავ თქვენს ყურადღებას, რადგანაც, ჩემი აზრით, ვერანაირი ხელისუფლება. მთავრობა ვერ შეძლებს ადამიანის სულის განთავისუფლებას, პიროვნული თავისუფლების მინიჭებას; თუ თავად არ ვეცადეთ. არ შევძელით. ჩემი და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის **ნატა ბუაჩიძის** საუბარი, ჩვენგან დამოუკიდებლად, სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა და მეც, შუამავალს ამ მეტად საინტერესო პიროვნებასა და თქვენს შორის, დიდი სურვილი მაქვს გადმოგცეთ ის განწყობილება, რომელიც სუფევდა ერთ პატარა, მყუდრო ოთახში მთელი საათნახევრის განმავლობაში.

— მაშ ასე. ჩვენ, მე და ხათუნა თევზაძე, — მიამბობს ნატა, — საქართველოს დიზაინერთა კავშირისა და „ჩარტერების დიზაინური ასოციაციის“ ერთობლივი ძალისხმევით შოტლანდიაში ვართ, ჩრდილოეთის უცავეს, უნესტიანეს ქალაქ აბერდინში. გვაფინანსებს შოტლანდიის მხარე და უდიდეს დახმარებას გვიწევს ფირმის ვიცე-პრეზიდენტი დევიდ ჯერარდი.

ეს არის ადამიანი, რომელიც... თუმცა იცი რა, რამაც გამაგიჟა იქ ყოფნისას, ეს ურთიერთობაა. ურთიერთობა ყველანაირი: სტუდენტებს და ლექტორებს, მშობლებსა და შვილებს შორის. სულ სხვა, აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა, უშუალო, უმარტივესი. მე დავისვენე ყოველგვარი დაძაბულობისაგან და კომპლექსებისაგან. ჩვენთან კი... შეიძლებ თუ არა წოდებით შენზე უფროსის კარს, იცვლები. მე არ ვამბობ, რომ იმათ მოწიწება არ გააჩნიათ, პირიქით, უკეთესად იციან ერთმანეთის ფასი და არასოდეს გადავლენ გარკვეულ ზღვარს. ყველაფერი გათვლილია.

დიახ, გათვლილია. და როდესაც ვკითხე, შენი აზრით, რა აინტერესებს უცხოელს საქართველოში-მეთქი, ნატამ მიპასუხა:

— ჩვენ ვცხოვრობდით კოლეჯელი ამხანაგის სახლში, მას ჰყავდა მანქანაც. თითქოს ახალგაზრდა, რომელსაც სახლი და მანქანა აქვს, არ უნდა იყოს გაჭირვებული, მაგრამ წამოსვლისას გაზისა და სინათლის ფული გადავიხადეთ...

არც შოტლანდიელი და არც ინგლისელი განსაზღვრულ თანხაზე მეტს შენზე არ დახარჯავს. ჩვენთან კი სხვანაირადაა. ვერ გეტყვი კარგია თუ ცუდი, მაგრამ სწორედ ეს განსხვავებები, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, განაპირობებს უდიდეს ინტერესს ჩვენდამი.

— საბჭოთა კავშირისადმი თუ საქართველოსადმი?

— ჟურნალისტები, რომლებიც მოდიოდნენ რუს სტუდენტებთან, სტატიებს ბეჭდავდნენ ქართველებზე, ინტერესი უდიდესი იყო. ყველგან გვიღებდნენ უმაღლეს დონეზე. აბერდინში ქალაქის მერმა მიგვიწვია. ედინბურგში საბჭოთა კავშირის კონსულის მიერ მოწყობილ შეხვედრაზე ასორმოცდაათამდე კაცი შეიკრიბა; სპეციალურად ჩამოვიდნენ სხვა ქალაქებიდანაც და მე მომიხდა საათნახევრიანი ლექციის წაკითხვა საქართველოს შესახებ. წარმოიდგინე, რაოდენ დიდი იყო სიხარული, როცა ერთ-ერთი სტუმარი წამოდგა და განაცხადა: დღეიდან თქვენ ვერავინ გაგაძრებთ რუს სტუმრებად მოხსენიებასო. როდესაც ქრისტიანობის მიღებასა და ნინოს ჯვრის შესახებ მოისმინეს, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ყველანი ზღაპარში იყვნენ. ერთმა ღიმილით კიდეც: საქართველო — ლეგენდა.

ლექციის დამთავრების შემდეგ ჩემთან მოვიდა კაცი, რომელიც ათი წუთის განმავლობაში მესაუბრებოდა ქართულად და შეცდომა არ დაუშვია. იგი აღმოჩნდა ვინმე პატრიკ ჰილერი, ინჟინერი, რომელმაც ქართული ლიტერატურის სიყვარულით, დამოუკიდებლად, წიგნების საშუალებით ისწავლა ენა. ბატონი ჰილერი რამდენჯერმე ყოფილა თბილისში და სულ მალე ქართველი ქალის მეუღლე გახდება. მასთან საუბრის, ლექციის, შეხვედრების შემდეგ მე დავრწმუნდი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურულ კავშირებს.

— ნატა, ვფიქრობ, სწორი ინფორმაციის გატანას საერთაშორისო ჟურნალისტიკაც შეუწყობდა ხელს, იმიტომ, რომ პირველი პირისაგან მიწოდებული ინფორმაცია უფრო სარწმუნოა და დასაჯერებელი.

— მართალია. იქ ყოფნის ორი თვის მანძილზე საქართველოზე მხოლოდ ერთი მასალა წავიკითხე, მაშინ, როდესაც ბალტიისპირეთზე თითქმის ყოველდღე იბეჭდებოდა ინფორმაციები. საქართველოს იცნობს მხოლოდ ის, რომელიც ძალიან განათლებულია ან სპეციალურად დაინტერესებულია ჩვენი პრობლემებით.

— ალბათ დადგა დრო, რომ შენი წასვლის მიზეზზე და მუშაობაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ.

— ჩვენ ერთი წლის წინ უნდა წავსულიყავით საქართველოსა და შოტლანდიას შორის სტუდენტების გაცვლის პროგრამით. 8 სტუდენტიდან, რომლებიც თბილისიდან გავემგზავრეთ, როგორც აღვნიშნე, მე მოვხვდი აბერდინის კოლეჯში, სადაც დავყავი მხოლოდ და მხოლოდ 3 კვირა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს დრო ძალიან მცირეა, მაგრამ ჩვენ მაქსიმალურად მოვასწარით ყველაფერი. ერთი კვირა ვიმუშავეთ კომპიუტერებზე. ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე დავეუფლე, მაგრამ ჩემთვის ის უცხო ხილი აღარ არის. მართალია, ჩემი მანქანა ყველაზე ხშირად ყვიროდა მაიმუნის ხმაზე (ეს მაშინ ხდება, როცა შეცდომას უშვებ), მაგრამ ესეც ძალიან საინტერესო იყო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კოლეჯში ზარი არ ირეკება. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, არავინ იგვიანებს ლექციაზე და არავინ ტოვებს კოლეჯს 5 საათამდე; მეორე კვირა ფოტოგრაფიის შესწავლას დაეთმო. თეორიული კურსის შემდეგ, როცა უკვე ყველაფერი ნასწავლი მქონდა — წამლის მომზადებიდან გამქღავნებამდე, შავ-თეთრ ფოტოზე ფერადი ეფექტების გაკეთებიდან დაბეჭდვამდე. მომცეს ფოტოაპარატი და გამიშვეს გადასაღებად. ამ საქმეს კი ნამდვილად ზედმიწევნით დავეუფლე (შევადაროთ უნივერსიტეტში ფოტოსაქმის შესწავლას), და შემდეგ, უკვე ძალიან დაღლილნი, მასპინძლებმა წაგვიყვანეს ჩრდილოეთ ზღვის სანაპიროზე. ეს სურათიც, რომლის შესაქმნელი მასალა თვითონ შევაგროვე, გამოხატავს მაშინდელ განწყობილებას და ჩემი პორტრეტია.

ეს ნატაა, ის ქართველი, რომელიც ერთ-ერთი პიკნიკის დროს, საშინელ ქარსა და სიცივეში სველ ლოდზე შეხტა და წყლის შხეფების ხმა რომ ჩაეხშო, მთელი ძალით ყვიროდა. გაკვირვებული მანპინძლები ჯერ ჩუმად იყვნენ და მერე აჰყვნენ გოგონას. აყვირდნენ, რომ ეთქვათ: „ჩვენ შენთანა ვართ, უნდა იყვირო შენი სულის გამოსახსნელად“.

— ნატა, როგორც ვიცი, შემდეგ მუშაობა იყო, არა?

— დიახ, ვმუშაობდი ედინბურგის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ ფირმაში — „McILROY COATES“. და ეს ორი კვირა იყო ყველაზე საინტერესო ჩემს ცხოვრებაში. თბილისში ადრე ადგომა, შენც იცი, რა საშინელებაა. იქ კი 7 საათზე, როგორც წესი, ფეხზე ვიყავი და „მივფრინავდი“ სამსახურში. დამთავრდა აბერდინის ლაღი ცხოვრება და დაიწყო მუშაობა, ისეთი სერიოზული, რომ... მე ამ მუშაობაში ფულს მიხდიდნენ. გავაკეთე 2 ემბლემა, აქედან ერთ-ერთი ედინბურგის უნივერსიტეტის, რომელზეც გამოცხადებული იყო კონკურსი მხოლოდ ფირმის თანამშრომლებს შორის, ორი წიგნის ყდა, ბროშურა. ეს აქ მინიმუმ ორი თვის სამუშაოა. იქ კი მთავარი იდეაა, მერე ყველაფერს ტექნიკა ასრულებს. რჩება მარტო შემოქმედებითი პროცესი. ის, რაც ჩვენთან გართულებული და გაჭიანურებულია და რასაც შემოქმედებასთან არავითარი კავშირი არა აქვს, იქ ერთი სიამოვნებაა. ალბათ საინტერესოა ისიც, რომ მუშაობისას მე ფუნჯი და საღებავი არ მიხმარია. სამუშაოს ხარისხზე თუ ვიმსჯელებთ, შემიძლია გითხრათ, რომ ერთ-ერთი ჩემი წიგნის ყდა დაიბეჭდება, ხოლო ბროშურის ჭსეროქსზე გადაღება, სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი, რადგან ხელადვე წაიღო დამკვეთმა.

— ასეთი წარმატების შემდეგ იქნებ რაიმე კონტრაქტი შემოგთავაზეს?

— აბერდინის კოლეჯში, სადაც მე ვსწავლობდი, სექტემბერში ერთი წლით გავემგზავრები ასპირანტურაში სასწავლებლად. ჩემთან ერთად კიდევ ორი ჩემი ამხანაგი მიიწვიეს. სპონსორის მოძებნას ჩვენს დასაფინანსებლად შოტლანდიის მხარე კისრულობს. მიწვევის საკითხი ძალიან უბრალოდ გადაწყდა. როდესაც შემომთავაზეს მუშაობა და ჩემგან თანხმობა მიიღეს, ძალიან გაუხარდათ, რადგან იქ მთავარი რაღაცის სურვილია, თორემ განხორციელება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მესმის, რომ პრობლემები ნაკლებია, მაგრამ ურთიერთდამოკიდებულებაც სხვაგვარია.

— ნატა, სტიპენდიების შესახებ რას იტყოდი?

— ვერაფერს დასამშვიდებელს. რა შეფარდებაშიც არის მანეთი და ფუნტი, იგივე შეფარდებაა ყველაფერშიც. აქედან უნდა დავიწყოთ ათვლა. ვისაც საშუალება აქვს, იხდის სწავლების ფულს და ეძლევა სტიპენდია, ვინც არ იხდის — არა.

— რა ასაკიდან იწყებენ სწავლას უმაღლეს სასწავლებელში?

— პირველად, როდესაც ჩემი ჯგუფი გავიცანი, მივმართავდი სტუდენტებს, როგორც ლექტორებს. უმაღლესში შედიან, როგორც წესი, 20 წლიდან. იყო რამდენიმე სტუდენტი, რომელმაც სამი სასწავლებელი დაამთავრა და ახლა ინტერესის გამო მეოთხეში სწავლობდა. მათი ასაკი ორმოც წლამდე იყო. მიუხედავად წლოვანების ასეთი სხვაობისა, ურთიერთობა სტუდენტებისა ერთმანეთში და ლექტორებთან იყო უაღრესად მეგობრული და თავისუფალი.

— სხვა ქალაქიდან ჩამოსული სტუდენტი საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, არა?

— მხოლოდ ის, ვისაც უჭირდა. უბრალო მაგალითი: როდესაც ჩვენი ამხანაგი, გლაზგოს ერთ-ერთი საუკეთესო კოლეჯის სტუდენტი, საერთო საცხოვრებელში დააბინავეს, ვერ იცხოვრა, რადგანაც ტუალეტის კარები არ იკეტებოდა, აბაზანა კი უბრალოდ არც იყო. ასე რომ, დიდი განსხვავება იმათ საერთო საცხოვრებელსა და ჩვენს სტუდჭალაქს შორის არ შემინიშნავს.

— ნატა, ხომ არ შეადარებდი თბილისის სამხატვრო აკადემიასა და აბერდინის კოლეჯს?

— საერთოდ, როდესაც ასეთ დაწესებულებაში შედიხარ, პირველი კბიდანვე უნდა იგრძნო, რომ ეს შემოქმედებითი სამყაროა. აბერდინში ხედები სად ხარ და რაღაც სხვაგვარად იმუხტები, აქ კი, მიუხედავად იმისა, რომ არაჩვეულებრივი შენობაა, ატმოსფერო არ არის შექმნილი. პირობებსა და ტექნიკურ აღჭურვილობაზე აღარ ვლაპარაკობ. მაგრამ თუ ადამიანს სწავლა უნდა... იცი პირველ რიგში რა უნდა გაკეთდეს? უნდა მიიღონ მხოლოდ ისინი, ვისაც მართლა უნდა ხატვა, ამის ნიჭი გააჩნია და არა ისინი, ვინც მოდასაა აყოლილი. კიდევ ერთი რამ: კოლეჯშიც და ოფისშიც უდიდესია ნდობის ფაქტორი. თანამშრომლები ხელფასს ნამუშევარი საათების მიხედვით იღებენ. ყოველ პარასკევს ისინი ავსებენ ფორმას, რომელშიც აღნიშნავენ მუშაობის დროს საათებში. იქ არ არსებობს ტყუილი. სამი საათის მაგივრად არავინ დაწერს ექვსს, მით უმეტეს, რომ არასოდეს ამოწმებენ.

— ნატა, მე ვიცი, რომ საშობაო არდადეგები ლონდონში გაატარე.

— ო, მშვენიერი იყო. ეს ყველაფერი თვითონ მოვიწყეთ. თვენახევრის განმავლობაში უაღრესად დატვირთულები, უზომოდ ცმაყოფილები, მაგრამ ძალიან დაღლილები ლონდონში მეგობარს დავუკავშირდით და გავემგზავრეთ.

აქვე ვიტყვი, რომ განსხვავება ინგლისელებსა და შოტლანდიელებში ისეთივეა, რაც ჩვენს და რუსებს შორის. და თუ შოტლანდიაში ჩვენი პრობლემები საკმაოდ კარგად ესმოდათ, ინგლისში ცოტა კოლონიალურ აზროვნებას ჰქონდა ადგილი, თუმცა გაუგებარი არავინ შემხვედრია. ლონდონში გავატარეთ შობა და ახალი წელი. შობა იყო კლასიკური, ინგლისური — ინდაურითა და პუდინგით. ახალი წელი კი, ყოველად გასაგიჟებელი — 50 კაცი ქუჩაში ვცეკვავდით მთელი ღამის განმავლობაში. ეს იყო საზღვარს გადაცილებული მხიარულება, არაჩვეულებრივი ზღაპარი. შეტი რა გითხრა. იქ ყველაფერს თავისი დრო აქვს.

„იქ“, „იქ“, „იქ“, ჩვენთან?...

ანი ლუარსაბაშვილი,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორეკურსელები დათო ჯორბენაძე და ზაზა როინიშვილი 19 აპრილს, პარასკევს, დღის 3 საათსა და 25 წუთზე, უნივერსიტეტის I კორპუსის წინ, ტყვიის ჭრილობით, ვერაგულად, დანის გულში ჩარტყმით მოკლეს ასევე უნივერსიტეტის სტუდენტებმა. სიტყვებს ვერ ვპოულობთ სამძიმრის გამოსათქმელად. მხოლოდ გვინდა, ერთხელ კიდევ მოვიგონოთ ჩვენი უდანაშაულო, უბრალო, უსაყვარლესი ადამიანები.

დათოს და ზაზას მეგობრები მოგმართავთ უველა უნივერსიტეტელს, თბილისელს, ქართველს, არაქართველს!

გვეყო ამდენი სისხლი, სისასტიკე. უბედურება... ღმერთმა არ განგაცდევინოთ ის ტკივილი, რომელიც თავს დაგვატყდა ჩვენი ორი არაჩვეულებრივი ჯგუფელის დამკარგავთ. უფალმა დაგიფაროთ უყველგვარი უკეთური ზრახვისაგან და შეცოდებისაგან. რამეთუ ეს ქვეყანა მთლად ჩალით არ არის დახურული. რამეთუ სამართალი თავის გზას ნახავს და მაშინ, ვაი, იმასაც, ვისაც რისხვა დაატყდება, ვაი, საუკუნო ცეცხლში ჩაგდებულს. ადამიანს თუ არ ერიდებით, ღვთის მაინც გეშინოდეთ! ჩვენს დამტანჯველს კი ღმერთი დასჯის!

დათო ჯორბენაძე და ზაზა როინიშვილი. არ გვინდა დავაცილოთ ეს ორი სახელი, რადგან სიცოცხლეშიც ერთად იყვნენ და სიკვდილიც ერთად მოუვლინა განგებამ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის ფრიადოსანი სტუდენტები იყვნენ და უნივერსიტეტის I კორპუსის წინ, დღისით-მზისით, დანის გულში ჩარტყმით გამოასალმეს სიცოცხლეს ორივე. და მერე რისთვის?... ტყავის ქურთუკისთვის.

ვერ ვიჯერებთ, ვიტანჯებით, ერთმანეთს თვალს ვერ ვუსწორებთ — იქვე ვიყავით. იქნებ გადაგვერჩინა და ვერ შევძელითო. ვერ დავიფარეთ, მაგრამ ფიცს ვდებთ: სანამ ერთი ჩვენთაგანი მაინც იცოცხლებს, ვერც ერთი მკვლელი, თუნდაც თქვენი წვეთი სისხლით გასვრილი, დაუსჯელად ვერ იბოგინებს და თუ ამქვეყნად სამართალი მაინც მოკვდება, ღვთის რისხვას სად წაუვლენ?

ჩვენო უდანაშაულო, კეთილო, ვაჟკაცო ბიჭებო, მკვლელთან შიშველი ხელით შებმულნო, თავს ვიმშვიდებთ — ისეთი წინდანინი იყვნენ, ამ ბინძურ ქვეყანაში ვეღარ გაძლესო და საიქიოს სამოთხეს წავიდნენო. მაგრამ ჩვენ თქვენი აქ არყოფნა გვტკივა და იმად ვტირით. შეგინდოთ უფალმა და გაგანათლოთ.

თანაკურსელი მეგობრები

ზაზა, შენ მაინც გეცოცხლა!..

ერთი უბედურება რად გაგვიათკეცე? ამბობენ ვინც მოკვდა თავის თავს მოუკვდაო. არა! შენ ჩვენ დაგვაკლდი, მაკას... ბოლო სიტყვები მისთვის გითქვამს — არ დამტოვოო. სულ შენთან იყო, შენ? ზაზა, არ გვინდა დავიჯეროთ. რა ხდება ჩვენს თავს. ეს რა გაზაფხული დაგვიდგა. დათომ იცოდა: მოვიდა გაზაფხული ქალებო, დაატყეთ ტანსაცმელს გამოზაფხულებაო. შენ კი იღიმებოდი და... სულ შავი პერანგი გეცვა. რატომ? იქნებ გრძნობდი რამეს და შენს უბედურ ახალგაზრდობას გლოვობდი? ეჭიმები გვამშვიდებდნენ, იცოცხლებსო. ვერ გიშველეს! რაღა დაგვრჩენია? სურათები, იმ დღეს მაკასთან ერთად გადაღებული უამრავი სურათი და შენი ბედნიერი სახე, „სიკვდილის წინ თეთრი გედი მხოლოდ ერთხელ მღერის“.

საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაცია — დამწუხრებულია ასოციაციის წევრების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტების

დათო ჯორბენაძისა

და

ზაზა როინიშვილის

ვერაგული მკვლელობის გამო და ღრმა თანაგრძნობას უცხადებთ დაღუპულთა მშობლებსა და ახლობლებს.

ზოთა ჟორჟოლიანი
კორნელი კაკაბაძე
კოგა თორდია
მაია თაბაგარი.

მე და პაგანელი

(დათო ჯორბენაძეს)

ჩვენი ოცნება მოიხარშა სამყაროს ქვაბში,
და სიყვარულით სავსე არის ჩვენი გულები,
ვიცი, დაგვახვრჩობს პოეზია ორივეს ზღვაში
და გენიოსთა საკრებულოს წავალენ სულები.

ნელი ტაატით იშმუშნები შენ, ახიატო,
ალვის ხესავით ინერტული მგონიხარ ხშირად,
მე კი ევროპას სამუდამოდ მსურს ვეზიარო,
რადგან მეშინის არ დავიწვა სულმთლად ნახშირად.

შენ შენი გხიბლავს შორთვალება, დინჯი გრიგოლი,
მე ცისფერყანწელთ ვეფერები თხელი თითებით,
იმათ გომბეშო შემიყვარდა და მალდაროსი,
შენ ალბათ უფრო ვახის ჯვარი შეკრული თმებით.

მარტონი ვრჩებით ბრძოლის ველზე როგორც პეპლები,
და ჩვენგან ელის დღეს სამყარო უთვალავ რითმას,
გაივლის ხანი, უგზოუკვლოდ ირბენენ წლები,
ჩვენი სახელი კი დარჩება წვიმის აფიშად.

ამ სიყვარულის სისოვლეა გაუხარელი,
წინათგრძნობა მაქვს, ალბათ დაგვათოვს,
ქვეყნად დარჩება სამუდამოდ ორი სახელი
შოთა და დათო!

ზოთა ჟორჟოლიანი

ეს დათოს უხაყვარლესი ლექსია.

დათო მოკლეს!..

დათო ჯორბენაძე აღარ არის, ჩვენი ულამაზესი, უთბილესი, უკეთილესი შეგობარი. მოკლეს და მერე სად—უნივერსიტეტთან. ლექციის დაწყებამდე 5 წუთით ადრე, მანამდე კი...

— ახი, ხო კარგი ბიჭი ვარ? როგორი წერილია, ა?

— მაიკო, სულ ვოცნებობდი ტელევიზიით როკგადაცემა წამეყვანა და შემთხვევით ქუჩაში არ გამაჩერეს? რა ბედნიერებაა, პირველად ჩემს სიცოცხლეში ტელევიზიით გამოვალ...

— რედაქციაში მიდიხარ? უჩემოდ არ წახვიდე, აბა ჰკუით იყავი.

ორი-სამი დღის წინ ლელასთან ვიყავით, უცებ ტელეფონმა დარეკა, დათოა — მოვიდე? ძალიან გიხდათ რომ მოვიდე? მაშინ კუპატებს წამოვიღებ და...

ის საღამო არასოდეს დაგვავიწყდება. რატომღაც უამრავი ლექსი ითქვა. შენ სულ გაჩუმებული იყავი და მერე ვერლენი წაგვიკითხე ფრანგულად. მერე ფეხით წამოვედით. არც ერთი მანქანა და ჩვენ... მერე... მერე აღარ გვახსოვს. გვითხრეს მხოლოდ. პარასკევს 3 საათზე ჩვენთან იყო, სულ იმას ამბობდა: სად არის გაზეთი, აღარ მეღირსა ჩემი „ზეპელინების“ ნახვაო. ოთხის ოცდახუთ წუთზე კი... დათო მოკლეს. სამზე ჩვენთან იყო, ოთხზე — ღმერთთან.

დათო!

დათო გული გტკივა?

„რატომ ხარ ცუდ ხასიათზე?“ — ასე იცოდი. ხედავ, დღეს შენი წერილი იბეჭდება. ეღირსა. გვაპატიე.

ჩვენგობრისთვის გითქვამს ერთხელ: ჩემს პანაშვიდზე „ზეპელინებს“ ჩართავენო...

„ლედ ზეპელინი“—„ტყვიის დირიჟაბლით“ მისტიკისაკენ

სამარისებურ სიჩუმეს გიტარის რამდენიმე აკორდი არღვევს და იწყება „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ლედი, რომელსაც...“

ოცდახუთათასიანი აუდიტორია ფეხზე დგება და თაყვანისმცემელთა ხელებში ათასობით პატარა სინათლე ციმციმებს. მონუსხული მუსიკოსების სახეებს მკრთალად ანათებს სცენის თავზე ანთებული ნეონის წარწერა: „Led Zeppelin“.

ატლანტაში გამართული კონცერტის დროს შექმნილ ამ სიტუაციას ჯიმი ჰეიჯი შემდგომში ქეშმარიტად ჯადოსნურს უწოდებს.

მაგრამ ეს მოხდა ატლანტაში, „ლედ ზეპელინის“ ამერიკული ტურნეს დროს. მაშინ, როდესაც ანსამბლის პოპულარობა არხახულ მასშტაბებს ღებულობდა და თაყვანისმცემლებიც მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული „ლედ ზეპელინის“ თითოეული წევრის „ჯადოსნურობაში“. მანამდე კი...

ანსამბლი შეიქმნა 1968 წელს, მსოფლიო როკ-მუსიკის რენესანსის ეპოქაში. გადავავლოთ თვალი იმ ეპოქის მთავარ მოვლენებს. 1966 წელს ჯიმი ჰენდრიქსი ქმნის ჯგუფს („Jimu Hendrix Experience“), რომლის სახელი ჰარდროკის სათაყვანებლთან არის დაკავშირებული და დღითიდღე ახალი ელემენტები შეაქვს მას. 1967 წელს მსოფლიოს ლეგენდარული „ბითლზების“ „Sgt Pepers“-ის ტალღა გადაუვლის ჯიმი ჰოროსონის „დორზი“. იმავე 67 წელს არნახულ წარმატებას აღწევს თავისი პირველივე ფირფიტით „კინგ კრიმსონა“ და ერიკ კლაპტონის „ქრიმს“ ჯერ კიდევ წამყვანი ადგილები უჭირავთ. უზარმაზარი წარმატებით იწყებს თავის მოღვაწეობას „გრენდ ფანკ რეილროუდი“, რომ აღარაფერი ვთქვათ როკ-მუსიკის ორ გიგანტზე — „დიფ ფარფლსა“ და „ბლექ საბათზე“, რომელთა ბრწყინვალე ჟამოქმედება 70-იანი წლების დასაწყისთან არის დაკავშირებული (თუ არ ჩავთვლით „დიფ ფარფლის“ ადრეულ ფირფიტებს).

ეს არის ძალიან მოკლე სია იმ ჯგუფებისა თუ მუსიკოსებისა, რომელთა შემოქმედებისკენ მთელი როკ სამყაროს ყურადღება იყო მიპყრობილი.

ასეთ პირობებში ადვილი არ იყო ორიგინალური და სრულიად დამოუკიდებელი მუსიკის შექმნა. მართალია, „ლედ ზეპელინს“ როკ მუსიკის ბევრ მიმდინარეობასთან გააჩნია მიმართება. მაგრამ მის შემოქმედებას მაინც განვიხილავთ როგორც სრულიად განსაკუთრებულს, რადგან ამ ჯგუფის უდიდესი შინაგანი პოტენცია ჩანასახშივე რაღაცნაირ იდუმალებასთან და მისტიურ ექსტაზთან იყო ნაზიარები.

„ლედ ზეპელინის“ წამყვანი გიტარისტი ჯეიმს პატრიკ ჰეიჯი 1944 წლის 9 იანვარს დაიბადა ჰიუსტონში, ინგლისის საგრაფო მიდლსექსში. გიტარაზე დაკვრა მან ელვის პრესლისა და ჩაკ ბერის როკ ნ როლების შთაბეჭდილებების ქვეშ დაიწყო. მუსიკალური სკოლის დამთავრების შემდეგ იგი გადადის ლონდონში, სადაც მუშაობას იწყებს როგორც დამბძარე ბას-გიტარისტი. აქ ჯიმი პეიჯმა მონაწილეობა მიიღო ისეთი ცნობილი ჯგუფებისა და შემსრულებლების ფირფიტების ჩაწერაში, როგორებიც იყვნენ „კინგსი“, „ჰუ“, ვან მორისონი, ჯო კოკერი. ცნობილია, რომ ის უფრო სტუდიური შემოქმედების მომხრე იყო, აძიტომაც მან უარჰყო მრავალი ცნობილი მუსიკოსის წინადადება თანამშრომლობაზე. და აი, 1966 წელს იგი უკრავს ლეგენდად ქცეულ ფსიქოდელიური ბლუზის ჯგუფში „იარდ ბერდზ“. აქ მას ახლო შემოქმედებითი კონტაქტები ჰქონდა ცნობილ გიტარისტ ჯეფ ბეკთან (რომლის და, სხვათა შორის, ჯიმის ახლო მეგობარი, ასე ვთქვათ, „გერლ ფრენდი“ იყო) ორი ნიშიერი გიტარისტის ურთიერთობამ ცოტა ხანში მწვავე ხასიათი მიიღო. მათი ხალისიანი შეჯიბრებები ხშირად დაძაბულ კონფლიქტებში იზრდებოდა.

(დასასრული მე-3 გვ.)

„ლედ ზეპელინ“ — „ტყვიის დირიჟაბლით“ მისტიკისაკენ

(დასასრული)

„იარლ ბერდზში“ უკრავდა აგრეთვე ჯონ ბოლდუინი (შემდგომში ჯონ პოლ ჯონსი). იგი პეიჯმა 1965 წელს გაიცნო სტუდიაში, როდესაც ჯონსი 60-იანი წლების ცნობილი ჯგუფების ფირფიტებზე მუშაობდა ბას გიტარისტად. დაბადა ჯონ პოლ ჯონსი 1946 წლის 3 იანვარს ვიკენდის საავადმყოფოში ქალაქ სიდკაპში. მისი მშობლები პროფესიონალი მუსიკოსები იყვნენ: დედა მომღერალი, ხოლო მამა პიანისტი — მუნჯი კინოს ეპოქაში იგი აკომპანიმენტებს ასრულებდა ფილმებისათვის. მაძამ დაკვრა შვილსაც ასწავლა; სკოლის დამთავრების შემდეგ ჯონ ბოლდუინი წელიწადნახევრის განმავლობაში მუშაობს მუსიკოსად და 1964 წელს, 18 წლის ასაკში ჯონ პოლ ჯონსის საზელით გვევლინება. 2 წლის შემდგომ მისი ორკესტრირებით ჩაწერილი „ჰერშეხ ჰემეტის“ ფირფიტა ამერიკაში 12 მლნ-იანი ტირაჟით გაიყიდა, რითაც „ბითლზის“ რეკორდი გადაიფარა. პეიჯის მსგავსად, ჯონსიც საკმაოდ ბევრს მუშაობდა, დადიოდა სტუდიიდან სტუდიაში და თვეში 40-50 ორკესტრირებას ასრულებდა. ბოლოს მან ჯიმი პეიჯი გაიცნო და „ლზ“-ის ბას-გიტარისტი გახდა.

„იარდ ბერდზი“, მიუხედავად თავისი ბრწყინვალე შემოქმედებითი კარიერისა, უდიდესი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ანსამბლის მენეჯერმა, იმპრესარიო საიმონ ნეპიერ-ბელმა მიჰყიდა ჯგუფის აქციები პიტერ გრანტს. პეიჯი ამბობდა: — ჩვენ გადაგვეღეს ფილმში, შემდეგ გვჭირდა გასტროლები ამერიკაში, შემდეგ ინგლისში „როლინგ სტოუნზთან“ ერთად და ყველაფერ ამაში თითოეულს გადაგვიხადეს 118 ფუნტი. დანარჩენი? პიტერ გრანტს ეს პრობლემები ნაკლებად აწუხებდა, რადგან იგი ერთის მხრივ სკრუპულოზულად სუფთა იყო თავის მუსიკოსებთან და თანაც შეეძლო მათთან ერთად გადაეტანა მხრებზე საგასტროლო ცხოვრების სიძნელეები. წინა მენეჯერებისაგან განსხვავებით, პიტერ გრანტი არასოდეს ტოვებდა თავის „ბიჭებს“ მარტო და ნებისმიერ სიტუაციაში იცავდა მათ. თუ საჭირო იყო 125 კილოგრამიანი ტანისა და უზარმაზარი მუშტების საშუალებითაც კი.

მოკლედ, პიტერ გრანტი იყო სრული ანტიპოდი უალრესად ტალანტიანი და ოდნავ მეოცხებე ჯიმი პეიჯისა. მიუხედავად ამისა, ეს ორი ადამიანი მაინც დიდ ურთიერთსიმპათიას გრძნობდნენ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, „იარდ ბერდზი“ დაიშალა. თავდაპირველად პიტერი და ჯიმი ფიქრობდნენ ახალი ჯგუფისათვის „ნიუ იარდბერდზი“ დაერქმიათ, მაგრამ შემდეგ გაიხსენეს ხუმრობანარევი საუბარი ჯგუფ „ჯუს“ წევრებთან: ჯონ ენტუისლთან და კიტ მენთან, როცა ჯონ ენტუისლმა თქვა: „და დავარქმევთ ახალ ჯგუფს „ლედ ზეპელინს“. ყველამ გაიცინა. სასაცილო ის გახლდათ, რომ სახელი „ლედ ზეპელინ“ ანუ „ტყვიის დირიჟაბლი“ ატარებს სიმბოლურ დატვირთვას. დედამიწაზე გრუხუნით დახეთქება ან კიდევ, კონცერტზე ჰექა-ქუხილით დავარდნა. ასე რომ, წარმატების გარანტია ანსამბლის სახელშივე იყო ჩადებული.

ჯგუფი კი ჯერ-ჯერობით, ფაქტიურად, არ არსებობდა. უხდა მოენახათ ვოკალისტი და მედოლე. ყველა კარგი ვოკალისტი დაკავებული იყო, ასე რომ, ძებნა ისევ ლონდონს გარეთ უნდა დაეწყოთ. და აი, ბირმინგემიდან მოვიდა ხმები ვიღაც ზლაპრული პრინცის მსგავსი, მაღალი, ქერათმიანი ჰაბუკის შესახებ, რომელსაც რობერტ პლანტს ეძახდნენ. რობერტ ენტონი პლანტი დაიბადა 1948 წლის 20 აგვისტოს ვესტ ბრომვიჩში; მამამისი ინჟინერ-მექანიკოსი იყო. პლანტი კარგად სწავლობდა. მშობლებმა იგი საქმისაწარმოებლად მიაბარეს ბუხჰალტერთან, მაგრამ მუსიკისადმი სიყვარული ვერაფერმა დასძლია და მშობლები უკვე ვეღარაფერს აწყობდნენ 13 წლის რობერტთან, რომელიც საათობით ტრიალებდა სარკესთან, რათა რაც შეიძლება ზუსტად „დაემხეცებინა“ მისი კერპის, ელვის პრესლის მანერები. მშობლებთან უკმაყოფილების შემდეგ იგი ტოვებს სახლს და შეგობარ გოგონასთან, მერინთან გადადის საცხოვრებლად. რობერტის უხმაურო შემოქმედებითი ცხოვრების დასასრულად იქცა შეხვედრა ჯიმი პეიჯთან. ისინი ჯიმის სახლში შეხვდნენ ერთმანეთს და დამეგობრდნენ. აღსანიშნავია, რომ ჯიმი პეიჯამდე პლანტის უნიკალური ვოკალური მონაცემები შენიშნა სახელგანთქმულმა ალექსის კორნერმა („ბლიუზინკორპორეიტედ“) მათ ერთად ჩაწერეს რამდენიმე ფირფიტა.

შემდგომ კი მედოლის პრობლემა ერთად გადაწყვიტეს. ჯგუფში მოიწვიეს პლანტის ძველი მეგობარი ჯონ (ბონზო) ბონჰემი. დიდის ხვეწნა-მუდარის შემდეგ ბონჰემი მათთან გამოცხადდა. შემდეგ პატარა სასინჯი რეპეტიცია და ჯიმი პეიჯი: „აქედან მართლაც გამოვა რაღაც“.. ასე შეიქმნა „ლედ ზეპელინი“ ჯიმი პეიჯი — სოლო, რობერტ პლანტი — ვოკალი, ჯონ პოლ ჯონსი — ბას გიტარა და ჯონ ბონჰემი — ბედოლე.

1968 წელს გამოვიდა ჯგუფის პირველი ფირფიტა — „Led Zeppelin — I“, რომელიც სპონტანურად იყო ჩაწერილი 30 საათის განმავლობაში. მაგრამ ამას განტვირთვა არ მოჰყოლია, მუსიკოსები დიდი დატვირთვით შუშაობდნენ და აქტიურ საგასტროლო მოღვაწეობას ეწეოდნენ. 9 ნოემბერს, ლონდონის ჩრდილოეთით, რაინდჰაუზში ჩატარებულმა კონცერტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს იყო ნამდვილი შტურმი, ოვაციები და აპლოდისმენტები არ მთავრდებოდა. სწორედ იმ დღეს იქორწინა რობერტმა, იგი ძლიერ ნასიამოვნები იყო იმით, რომ შესანიშნავი საგასტროლო ტურნე თაფლობის თვეს დაუკავშირა. დიახ, მუსიკოსებიც ბრწყინვალე ფორმაში იყვნენ, მუსიკაც შესანიშნავი იყო, ძაყურებლებიც აღფრთოვანებით შეჰყურებდნენ ახლად აღმოჩენილ კერპებს, მაგრამ კრიტიკა ძაინც დუმდა. არავითარი რეაქცია პრესის მხრიდან, ამან „ლ. ზ“ საგანებელში ჩააგდო. მათთვის უკვე მომაბეზრებელი იყო გაუთავებელი მასების ისტერია. ისინი გრძნობდნენ, რომ კერპები იყვნენ, მაგრამ წუხდნენ იმაზე, რომ მათი უერთგულესი პუბლიკა სულ რაღაც რამდენიმე ასეულ ათასით განისაზღვრებოდა. ისინი მილიონებისაკენ ილტვოდნენ და მსოფლიო სახელი სურდათ. „ლ. ზ“-ი ყველაზე დიდი პოტენციის მქონე ანსამბლი იყო მსოფლიოში და მსოფლიოს ამის შესახებ უნდა სცოდნოდა. გადაწყდა გასტროლები ამერიკაში.

ამერიკული ტურნე შობის მეორე დღეს დაიწყო. დასაწყისში გამართულმა რამდენიმე კოსცერტმა ყველაფერი დაამტკიცა. დამტკიცა ისიც, რომ „ლედ ზეპელინების“ მისწრაფება მსოფლიო დიდებისაკენ უბრალო ამბიციურობა კი არა, სამართლიანი და კანონზომიერი სურვილი იყო. ამისათვის ერთი ფაქტიც კმარა: ნიუ-იორკის ფესტივალზე „ლედ ზეპელინის“ გამოსვლამ არც ერთ ჯგუფს გამარჯვების შანსი აღარ დაუტოვა. ამ ჯგუფებს შორის იყო ჯიმი მორისონის „დორზ“-იც. გასტროლები უდიდესი წარმატებით შემთხვარეობდა, შემოსავალიც ზლაპრული იყო. ოქტომბერში ჯგუფი გამოვიდა ლეგენდარულ „კორნეგი ჰოლ“-ში, რა თქმა უნდა, შესაბამისი წარმატებით. ყველაფერი სიზმარს წააგავდა. წარმატებით თავბრუდახვეულები იყვნენ. დღისით კოსცერტებს მართავდნენ, ხოლო საღამოობით კი ფეშენებელური სასტუმროების ნომრებში ისხდნენ და შიშველ ქალებს უგზავნიდნენ ერთმანეთს. სხვათა შორის, ჯიმი პეიჯმა „როლს-როისი“ იყიდა და პიტერ გრანტს აჩუქა იგი. ძალე ჯგუფი ინგლისში დაბრუნდა. მიმდინარეობდა მზადება მეორე ალბომის გამოსაშვებად. იგი გამოვიდა 1969 წელს და სულ ცოტა მსოფლიო როკ მუსიკის კლასიკად იქნა აღიარებული. ეს იყო ჰარდ-როკის უნიკალური ნიმუში. თავიდან ფირფიტა ათეულში მოხვდა და „ოქროს“ ტიტული მიეხვია, ორ თვეში კი, მან I ადგილზე გადაინაცვლა და პლატინად“ იქცა. (მას შემდეგ „ლედ ზეპელინის“ ყოველი ფირფიტა, „Presence“-ის გარდა „პლატინის“ იყო). ჯგუფმა ორ წელიწადში ორი ბრწყინვალე ალბომი შექმნა. და უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა ახსამბლის თითოეული წევრის იმიჯი, მათი უნიკალური შესაძლებლობები და ის ძირითადი მუსიკალური ტენდენციები, რომელთაც გახვითარების პერსპექტივები ჰქონდათ ჯგუფის შემდგომ შემოქმედებაში. გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება: პირველი, ჰარდ როკისა, რომელიც ითვლებოდა „ქრიმის“, „ჰუს“, ჯეფ ბეკის, „იარდ ბერდზის“ ხაზის გაგრძელებად. მიუხედავად ამისა, აშკარად იგრძნობოდა, რომ ჯგუფის ამ მიმართულებას ბლუზის სპეციფიკა ედო საფუძვლად. თავად ანსამბლის წევრები ამას „მძიმე ბლუზს“ ეძახდნენ. სწორედ ამ მიმართულების სიმღერები და „დიფ ფარფლის“ შემოქმედება ითვლება დღესდღეობით, „მძიმე მეტალის“ ერთ-ერთ წინამორბედად.

რეპერტუარში შეუცვლელად შედიოდა ჰაულინგ ვულფის, ალბერტ კინგის და ბლუზის დიკსონის კომპოზიციები, მაგრამ ეს ნაწარმოებები ყოველთვის „ზეპელინისებური“ შესრულების სპეციფიური მანერით დემონსტრირებოდა, რადგან ჯიმი პეიჯმა, „კლასიკურ. ბლუზს“ საკუთარი გაგება დაუკავშირა, ბლუზისადმი სპეციფიკურ მიდგომას სწორედ მის მიერ „გიტარის შეგრძნების“ უნიკალური უნარი და უზადო ტექნიკა გახადა პირობებდა. რა თქმა უნდა, დიდ როლს თამაშობდა რობერტ პლანტის განუმეორებელი ხმა. მეორე მიმართულებას ნახევრადაკუსტიკურს უწოდებდნენ. აქ ფართოდ იყო გამოყენებული ხალხური მუსიკის ელემენტები. ცნობილია, რომ პეიჯი სპეციალურად იყო მაროკოში, აქაური ხალხური მუსიკის გასაცნობად. რეპერტუარში იყო აგრეთვე ირლანდიური ხალხური მუსიკის ელემენტები. აქ უკვე მთავარ როლს პლანტის უნიკალური ხმა თამაშობდა. სწორედ ამ მიმართულებასთან იყო დაკავშირებული მისტიკური გაგება „ლ. ზ“-ის შემოქმედებისა. ამ მიმართულების სიმღერებში იყო ძითითადი, რაღაც განუმეორებელი ხიბლი და ფილოსოფია. ძიუხედავად პეიჯის ექსპერსიულობისა, აქ პლანტის ხმის გარეშე მთლიანად დაიკარგება ის საოცარი პოეტური აღმაფრენა, რომელიც ამ სიმღერებში იგრძნობა და მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ მიმართულებას აღიქვამენ როგორც „ლ. ზ“-ის ჩიხში მოქცევას, მაინც მხოლოდ პირველის საშუალებით ანსამბლის შესახებ ბუნდოვანი და ცალმხრივი წარმოდგენა იქმნება. ფოლკლორი, ხალხური მოტივები „ზეპელინების“ განუყოფელ ნაწილად იქცა. ორთავე ეს მიმართულება ანსამბლის შემდგომ „III“ და „IV“ ალბომებშიც აშკარად იგრძნობა.

„L. Z. III“ უელსის მთებში, ველშმაუნტინში დასვენების დროს შეიქმნა. მას მოჰყვა „L. Z. IV“ კომპოზიციები „გელოვს ფოლ“ („სახრჩობელა“, „უავისფერი ძმობმბავი“); დეიზდ ენდ კუნფუუზდ, „იმიგრანტ სონგ“ (ემიგრანტების სიმღერა); ბლეკ დოგ (შავი ძაღლი) და რაღა თქმა უნდა, „სთეირვეი თუ პევენ“ (კიბე ცაზე), მსოფლიოს როკ მუსიკის კლასიკაში დაიმკვიდრეს ადგილი.

1973 წელს გამოშვებული ფირფიტა „House's of the Holy“ შეიძლება გარდატეხად ჩავთვალოთ ჯგუფის შემოქმედებაში, რადგან აქ უკვე სხვა სპექტრში ხდება წინა ტენდენციების გარდატეხა. ჰარბად იგრძნობა ქანთრის, რეგის რიტმები, ფირფიტის გარეკანზე გამოხატული არიან ბავშვები, რომლებიც მაღალი პირამიდებით ცისკენ მიიწევენ.

იმავე წელს დაიწყო მეორე ამერიკული ტურნე, რომელიც პირველზე გაცილებით უფრო წარმატებული აღმოჩნდა. „ზეპელინები“ ბრწყინვალე კონცერტებს მართავენ და მათთვის დამახასიათებელი თავისუფალი სტილით ცხოვრობენ. მკაფიოდ ჩამოყალიბებული მუსიკალური იმიჯი და კარგა ხნის მოპოვებული მსოფლიო დიდება უკვე მეტ საშუალებას აძლევთ ფუფუნებაზე ფიქრისა. ამჯერად ანსამბლის განკარგულებაშია თვითმფრინავი „ბოინგ-720“ ფართო ბარით, სამინებელი ოთახებით და თვით როიალითაც კი. ახსამბლის უდიდესი პოპულარობით გატეხილი მუსიკალური კრიტიკა უკვე ყველანაირ წვრილმანზე წერდა. მაგალითად, ყველა თაყვახისმცემელმა იცოდა, რომ პეიჯის ოთახში ყოველთვის უნდა ყოფილიყო ახლადდაკრეფილი ყვავილები, ფორთოხლის წვენი, ცივი შამპანური; პლანტთან — ერთი ერთი ინგლისური ფირმის ჩაი, თაფლით და ლიმონით, ბონჰემთან — ხალიჩა იატაკზე, ხოლო ჯონსთან, სულ ცოტა, როიალია მაინც. და კიდევ ვინ მოთვლის... ერთხელ, პეიჯის ოთახს ყვავილების გარდა შეიარაღებული დამცველებიც დასჭირდა, რადგან ვიღაც გადარეული მას არასრულწლოვანის გაუპატიურებას დებდა ბრალად და მოსაკლავად დასდევდა. რა თქმა უნდა, ეს ცილისწამება აღმოჩნდა. თურმე ერთხელ ერთ-ერთ სასტუმროში უზარმაზარი თანხა ჯგუფის ბიუჯეტიდან უგზო-უკვლოდ გაჭრა, თურმე „ზეპელინები“ ამერიკულ ძაღაზიებში და რესტორნებში საბანკო ტალონების გარეშე, პირდაპირ უზარმაზარი თანხით დადიოდნენ, თურმე ბონჰემს და პლანტს ინგლისში საკუთარი ფერმები ჰქონდათ, თურმე ბონჰემს ალკოჰოლი უყვარდა, პეიჯს კი ფრენის ეშინოდა და ა. შ. და ა. შ.

დაიწყო მუშაობა ფილმზე, „The Song ramains the same“, რომელიც 76 წელს გამოვიდა. ფილმში ყველა წევრის ფანტაზიები და თავისებურებები არის ჩადებული. პეიჯის იდუმალებით მოცული სახლი ტბის პირას ვინძორში (გაბუნდოვანებული კადრით „შავი მაგიის“ ეფექტი იქმნება), პლანტი ცხენზე ამხედრებული ძველი ციხესიმაგრის ფონზე, ჯონსი ტაძარში ორღანთან. მართალია, ფილმი პიტერ გრანტს თავიდან არ მოეწონა, მაგრამ იგი მაინც გამოვიდა. შემდგომ მუსიკოსების სახელობის კონცერტი გაიმართა „მედისონ სკვერ გარდენში“, რომელიც, გულახდილად რომ ვთქვათ, ყველაზე კომერციულად და ნაკლებად შემოქმედებითად უხდა ჩაითვალოს ჯგუფის შემოქმედებაში. მაგრამ მანამდე იყო ბრწყინვალე ალბომი Pissical Graffiti“ (ფიზიკური ჩანახატები). სწორედ ამ ალბომში შედის კომპოზიცია, რომელსაც სიმბოლურად, ამოსავლური ელემენტების გავლენის გამოსახატავად ინდოეთის ერთ-ერთი შტატის, — ქაშმირის, სახელი ეწოდა. წინა კონცერტებისათვის დამახასიათებელი ბლუზის ელემენტები ნაკლებად შეიმჩნევა. ამ მხრივაც სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ეს ალბომი. 76-ში გამოვიდა „Presence“ — რომელიც, როგორც აღვნიშნეთ „პლატინის“ ფარეშე დარჩა, მას „ვერცხლი“ ერგო. აღსანიშნავია, რომ ანსამბლის წევრებისათვის დიდი მნიშვნელობა შეიძინეს ნარკოტიკებმა. შტატების პოლიციამ ჯერ კიდევ არ იყო დახურული საქმე პეიჯის შესახებ. მის სასცენო შარავლებზე (რომელთა დეკორაციას პეიჯი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა) სულ უფრო და უფრო ხშირად ჩანს ყაყაჩოები, ნარკოტიკული ეშტაზის ფანტასმაგორიული ეფექტები: ურჩხულები, უცნაური დაკლაკნილი ფიგურები, რაშიც აღმოსავლური ძაგიით გატაცებასაც დიდი წვლილი მიუძღვის. ზოგჯერ ყოველგვარი დეკორაციების გარეშე: ფაშისტური სამხედრო ფორმით, ხელში ორგრიფიანი გიტარით. საოცრად ეფექტური სურათია. ნარკოტიკებით გატაცება, როგორც ყოველთვის აქაც ფატალური აღმოჩნდა. გაუგებრობები, ოჯახის ნოსტალგია განუწყვეტელი გასტროლების დროს, ყველაფერმა ამან შემოქმედებით მხარეზეც დიდი გავლენა იქონია. 77 წელი არავითარი სიახლით არ აღნიშნულა, გარდა რობერტ პლანტის თავს დატეხილი დიდი ტრაგედიისა — ინფექციური დაავადების დაიღუპა მისი 7 წლის ვაჟი — კარაკი. ამის გამო გადაიდო დაგეგმილი ამერიკული ტურნე. პლანტი 79 წლამდე არ დაბრუნებია სცენას. 79 წელს კი სიყრმის მეგობრის, ბონზოს, დაჟინებული მოთხოვნით მან მონაწილეობა მიიღო „In trough the out Door“-ის ჩაწერაში; ეს ფირფიტა სტოკჰოლმში, „აბბა“-ს სტუდიაში ჩაიწერა. იგი ბოლო იყო „ლ. ზ“-ის. უკვე ხალხში დადის ჭორები ჯგუფის დაშლის შესახებ. ჭორები გამართლდა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1980 წელს ჯიმი პეიჯი შავი მაგიის ლაბორატორიად ქცეულ იდუმალებით მოცულ სახლში გარდაიცვალა ჯონ ბონჰემი, ბონზო — მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი მედოლე. მისი მჭუხარე დარტყმების გარეშე წარმოუდგენელი იყო „ლედ ზეპელინის“ არსებობა. ჯგუფმა არსებობა შეწყვიტა.

ისე კი, ამ მუსიკოსებმა დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკის შექმნა მხოლოდ ერთად ყოფნის, ერთმანეთის შემოქმედებითი ფანტაზიების გვერდიგვერდ დაყენებით შეძლეს.

ასე ჰექა-ქუხილით დაეშვა „ტყვიის დირიჟაბლი“ დედამიწაზე და მსოფლიო როკ-მუსიკის სცენას გრუხუნით დაეხეთქა. დავარდნის ეფექტი კი დღესაც არ განელებულა. მისი საოცარი ხმები ჯერ კიდევ მიიწევს ზემოთ, მისტიკისაკენ!

დათო ჯორბენაძე,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

11 იანვარს დაბეჭდილი კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ამაზონი; 3. ტანზანია; 8. ვიეტა; 10. ოხრა; 13 ტრაკაი; 14. ერი; 15 უვერტიურა; 16. რადა; 17. ატაკამა; 19. ნიგერია; 24. პური;25. აბხოლუცია; 28. ტბა; 29. ეხკიზი; 30. ალოე; 31. ატენი; 33. პროცეონი; 34. ობრანკა.

შვეულად: 2. ზნე; 4. ზოოლატრია; 5. გამბუზია; 6. ტანტალი; 7. ბერინგი; 9. აპსუ; 11. ათენა; 12. ატელიე; 18. კაბელი; 20. რაიხსვერი; 21. ესტაკადა; 22. პანტერა; 23. ემაიაგი, 26. ხკრა; 27. ცელი; 32. ედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მადლობა ყველას, ვინც არ დაიზარა და გამოგვეხმაურა. ალბათ მიგვიხვდებით, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ყოველი თქვენი წერილი — ჩვენი პირველი უსერიოზულესი ნაშრომის შეფასება.
ახლა კი დაპირებული პრიზ-პრიზი. იგი თქვენს ხელთაა. „ახალგაზრდა ივერიელი" პრიზია თითოეული ოჯახისათვის და ჩვენი „...ურთ-პრიზ-პრიზი" გილოცავთ!

თსუ

აკაკი ბაქრაძესთან ეს ინტერვიუ 14 თებერვალს ჩავიწერეთ, მაგრამ საკითხები, რომლებიც დღეს მიიპყრობს თქვენს ყურადღებას, სულაც არ არის მოძველებული. მით უმეტეს, რომ, როგორც ჩვენი გაზეთის პირველ ნომერში დაგპირდით, საუბარი იქნება ყველაფერზე, გარდა პოლიტიკისა და ეკონომიკისა; ასე რომ...

„ნიჭი

— ბატონო, აკაკი სკოლაში როგორ სწავლობდით და რა იყო თქვენი სკოლისათვის დამახასიათებელი. როგორ ფიქრობთ, მოახდინა გავლენა თქვენზე?

— განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, მაგრამ სკოლა ყოველთვის ტოვებს ადამიანში მნიშვნელოვან კვალს, თუნდაც იმიტომ, რომ სკოლაში ხდება ცნობიერების ჩამოყალიბება, ცოდნის შეძენა, ფართო ურთიერთობა ადამიანებთან — მასწავლებლებთან, თანაკლასელებთან, მით უფრო, რომ ჩვენს სკოლაში კარგი პედაგოგები ასწავლიდნენ.

— შატალოზე თუ ყოფილხართ?

— როგორ არა. ეს ჩვეულებრივი ბავშვური ამბავია. ამ ანცობაში მეტნაკლებად ყველა მოწაფე მონაწილეობს.

— დღეს ძალიან იმატა უმიზეზო გაცდენებმა. თითქმის მოშლილია სასწავლო პროცესი, ცდება ბევრი გაკვეთილი. იქნებ ეს მასწავლებლების ან იმ სიტუაციის ბრალია, რომელიც ახლაა დასადგურებული სკოლაში — უპასუხისმგებლობის...

— ყველა დროში და ყველა სკოლაში არიან მოსწავლეები, რომელნიც სწავლობენ, მასწავლებლები, რომელნიც კარგად ასწავლიან და მოსწავლეები, რომლებიც არ სწავლობენ, მასწავლებლები, რომლებიც ცუდად ასწავლიან. ასევე ყველა სკოლაში არის ისეთი ვითარება, რომელიც მოწაფეებს არ მოსწონთ. აწმყოზე წუწუნი საერთოდ დამახასიათებელია ადამიანისათვის. წარსულს იგი უფრო მეტად აიდეალებს. ალბათ, იმიტომ, რომ მეხსიერებაში წარსულის მხოლოდ ნათელი ფერები რჩება, ცუდს კი ივიწყებს. როდესაც დღევანდელი ახალგაზრდები დაბერდებიან, ისინიც იტყვიან, რომ მათი ახალგაზრდობის დრო, მათი სკოლა და მასწავლებლები იყვნენ მშვენიერები, ხოლო იმას, რაც მათი სიბერის დროს იქნება, ჩათვლიან ცუდად, მოუწყობლად, იწუწუნებენ — ჩვენს ახალგაზრდობაში საქმე კარგად იყო, ახლა ყველაფერი ცუდად არისო.

სხვა საკითხია ეკონომიკური სირთულეები. ეს საერთოდ დამახასიათებელია საბჭოური ყოფისათვის. ასე იყო ჩემს ბავშვობაშიც, მაგრამ მაშინ ამ გასაჭირს ომით (1941-45) და მისი მომდევნო პერიოდით ხსნიდნენ. უფრო ადრეც რთულად იყო ეკონომიკის საქმე, მაგრამ აბრალებდნენ იმპერიალისტურ გარემოცვას. ასე რომ, სსრკ-ში ეკონომიკურად დალხინებული ადამიანი არასოდეს ყოფილა.

— როგორ ფიქრობთ, სკოლაში მასწავლებლების ასაკი შეზღუდული უნდა იყოს? ახლა ტენდენციაა შემცირებისაკენ, კოლექტივების „გაახალგაზრდავებისაკენ". მაგრამ, ჩემი აზრით, არიან ნათელი პიროვნებები და არ შეიძლება ხელაღებით ყველას სამსახურიდან განთავისუფლება.

— რა თქმა უნდა. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს თავში რა უდევს ადამიანს. ასაკი ზოგჯერ ძალიან დიდი უპირატესობაა. იგი დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას აძლევს კაცს. ადამიანისადმი დამოკიდებულება უნდა განისაზღვროს არა წლოვანების, არამედ ჭკუისა და ნიჭის მიხედვით. სულელი და ტუტუცი ახალგაზრდაც ბევრია და ბებერიც, ისევე, როგორც ახალგაზრდაც არის ნიჭიერი და გონიერი და ბებერიც. ასე რომ, ასაკი არავითარი უპირატესობის ნიშანი არ არის, გარდა იმისა, რომ ხანდაზმულს მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება. თუმცა არც ახალგაზრდა უნდა იყოს ამ თვისებას მოკლებული.

— თქვენი დროის უნივერსიტეტიდან დღევანდელში რას გადმონერგავდით?

— უნივერსიტეტის სახე დამოკიდებულია პიროვნებებზე, რომლებიც უნივერსიტეტში მოღვაწეობენ. ამიტომ, რისიმე გადმონერგვა შეუძლებელია. ვერასოდეს გადმონერგავთ შალვა ნუცუბიძის, კოტე ბაქრაძის, ნიკო ბერძენიშვილის, კორნელი კეკელიძის და სხვათა ლექციებს. ისინი თვითონ იყვნენ საინტერესო ადამიანები, უაღრესად მიმზიდველნი თავიანთი ნიჭით, განათლებით. ისინი ქმნიდნენ უნივერსიტეტის სახეს. როცა წარსულზე ვლაპარაკობთ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მისი მშვენიერება გავიხსენოთ. ნუ ვეცდებით წარსულის დაბრუნებას. ვეცადოთ უნივერსიტეტის დღევანდელი დღე გავხადოთ მშვენიერი და ამაღლებული.

— ბევრს გვაინტერესებს, განახლდება თუ არა თქვენი ლექციები უნივერსიტეტში.

— არა. ჩემთვის არავის შემოუთავაზებია ამგვარი რამ, თუმცა კი უნივერსიტეტები მომრავლდა. რატომღაც ჩემი ლექციების ყოველთვის ეშინოდათ. როგორც ჩანს, ეშინიათ დღესაც. გარდა ამისა, ლექციების წაკითხვას დიდი ფიზიკური ძალა სჭირდება. ამ მხრივ მთლად საიმედოდ ვერა მაქვს საქმე.

— ბატონო აკაკი, თქვენი აზრით, რომელი საგნის შესწავლას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე?

— მე არ ვიცი, როგორია ჰუმანიტარული ფაკულტეტების სასწავლო პროგრამა დღეს, მაგრამ, თუ არ ასწავლიან, მიმაჩნია, რომ გარკვეული დრო უნდა დაეთმოს მჭევრმეტყველებას, ლოგიკას, რელიგიის ისტორიის შესწავლას.

ძალიან ხშირადა ვართ მოწმე იმისა, რომ რადიოში, ტელევიზიაში, ტრიბუნაზე სიტყვის წარმოთქმისას ადამიანს აზრის ჩამოყალიბება უჭირს. მჭევრმეტყველების გაკვეთილებს შეუძლია ნიჭიერ ადამიანს გარკვეული ჩვევები შესძინოს. ეს კი მეტისმეტად საჭირო გახლავთ. ჩვეულებრივი მეტყველების დროსაც ადამიანი აზრს გასაგებად უნდა გადმოგვცემდეს და მოსასმენად სასიამოვნო უნდა იყოს.

რელიგიის ისტორიის შესწავლაც საჭიროა. ოღონდ მე არ ვგულისხმობ მხოლოდ ერთი რომელიმე რელიგიის, ვთქვათ, ქრისტიანობის ისტორიის სწავლას. ვგულისხმობ, საერთოდ, ყველა დიდი რელიგიის ისტორიას. ჯერ ერთი, ამით გასაგები გახდება კაცობრიობის რელიგიური სახე და თავისებურება. ისიც გვეცოდინება კაცობრიობის რელიგიურ მოზაიკაში ქრისტიანობას რა ადგილი უჭირავს. მეორეც: გამომუშავდება ის ტოლერანტული დამოკიდებულება, რომელიც სხვადასხვა რწმენის ადამიანებს ერთმანეთთან უნდა ჰქონდეთ. მესამეც: ადამიანი, რომელიც მთლიან ცოდნას შეიძენს, თვითონვე მიხვდება, რომელი რელიგიაა მისი სულისათვის უფრო ახლობელი. სად შეიძლება მოიპოვოს მან სიმშვიდე და შვება. ეს ადამიანის თავისუფლების ერთი საწინდარიც გახლავთ.

პატიოსანი

— ბატონო აკაკი, ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი?

— ო, ძნელი სათქმელია. მე ბევრი მწერალი მიყვარს, როგორც ქართველი, ისე რუსი, უცხოელი. ასევეა ხელოვნების სხვა დარგებშიც. ყოველგვარი მწერლობა კარგია, თუ ის ნიჭიერია. ცუდია უნიჭობა.

— რა შთაბეჭდილებას ტოვებს თქვენზე ავანგარდისტული მხატვრობა?

— ავანგარდისტული მხატვრობა ისევე აუცილებელია, როგორც ყველა სხვა მიმართულება. აქაც ყველაფერი ნიჭზეა დამოკიდებული. ერთხელ საშუალება მქონდა მენახა ერთი ინგლისელი მხატვრის ნამუშევარი, რომელსაც „მოწყენილობა" ერქვა. არაფერი იყო ტილოზე დახატული, გარდა წრეებისა, კუბებისა, სამკუთხედებისა, მაგრამ მოწყენილობის ზუსტ განწყობილებას ქმნიდა. ასე რომ, ყველაფერი მხატვრის ნიჭიერებაზეა დამოკიდებული. მთავარია მან ემოციური კავშირი დაამყაროს მნახველთან.

— იზიარებთ გამოთქმას: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული ძევს?"

— მთლად ასე არ არის. ბევრ ჯანსაღ სხეულში ძალიან მახინჯი სული დგას, ისე როგორც, ბევრ გონჯ სხეულში — კეთილშობილი. მაგრამ საერთოდ ადამიანი უნდა ცდილობდეს სხეულიც ჯანსაღი ჰქონდეს და სულიც. სხეული ჭურჭელია სულისა და თუ ის კარგად იქნება შენახული, ბუნებრივია, სულისათვის უკეთესი იქნება. ისე კი, ადამიანში, როგორც ჩეხოვი ამბობდა, ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს.

— თქვენ თუ ყოფილხართ სპორტით დაკავებული?

— თავგადაკლული სპორტსმენი ვიყავი-მეთქი, ვერ ვიტყვი. მაგრამ სპორტული სანახაობა უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას მანიჭებს. როგორც ყველა ქართველი, ბავშვობაში მეც ვფეხბურთელობდი, მაგრამ ნიჭი ფეხბურთელისა არ მქონია.

— იქნებ ისიც სპორტია, რომ თქვენ არ ეწევით?

— არა. უბრალოდ ვერაფრით შევეჩვიე თუთუნის წევას. იგი ყოველთვის ზიზღს იწვევდა ჩემში.

— საერთოდ ადამიანს რასაც უკრძალავენ, ყველაზე მეტად უყვარს. თქვენ რას გიკრძალავდნენ ხოლმე და რას არა?

— აკრძალვასაც აქვს თავისი ვიწრო და ფართო მნიშვნელობა. თუ თქვენ მეკითხებით, რას მიკრძალავდნენ ოჯახში მშობლები, მაშინ უნდა გიპასუხოთ, რომ სრულიად თავისუფლად ვარ აღზრდილი. არაფერი ჩემთვის ჩემს დედ-მამას არ აუკრძალავს. როცა მინდოდა ვმეცადინეობდი, როცა მინდოდა ვთამაშობდი, როცა მინდოდა კინოში მივდიოდი, ერთი სიტყვით, ჩემი თავის უფალი მე ვიყავი. თუ ლაპარაკია პოლიტიკურ თავისუფლებაზე, რა თქმა უნდა, თავისუფლება ოცნებო იყო. მინდოდა უცხოეთში სწავლა, მაგრამ, ცხადია, ეს ფუჭი ოცნება იყო. მიყვარდა მოგზაურობა, მაგრამ ეგეც განუხორციელებელი დამრჩა. მინდოდა თავისუფალი აზროვნება და წერა, მაგრამ ძალიან ძნელად ხერხდებოდა. ასე რომ, პოლიტიკურმა დიქტატურამ მძიმე ვითარებაში მაცხოვრა, მაგრამ რას იზამთ... მძიმე ცხოვრება ხასიათის ჩამოყალიბებაში დამეხმარა.

— როდის იყავით ყველაზე ბედნიერი?

— ამის პასუხს ალბათ ვერ მოგცემთ. ზოგჯერ ადამიანს ბედნიერს ხდის სრულიად მცირე და უბრალო რამ, მაგრამ რაკი საქმიანობა, რომელსაც მე ვეწეოდი, უკავშირდება ლიტერატურასა და ხელოვნებას, კმაყოფილებისა და ბედნიერების გრძნობა ძალიან ბევრჯერ მქონია. კარგი წიგნის წაკითხვა, კარგი სპექტაკლის, კარგი ფილმის ნახვა და ზოგჯერ მონაწილეობა მათ შექმნაში დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. ვთვლი, რომ ამასთანავე ბედნიერიც ვიყავი. ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება, მაგალითად, „ყვარყვარეს" პრემიერა. ის ზეიმი, რომელიც რუსთაველის თეატრში იყო. ყოველი საქმიანობა, რომელსაც ადამიანი სიყვარულით ეწევა, მე მგონი, დიდ ბედნიერებას განიჭებს.

— ამბობენ აკაკი ბაქრაძეს ყველაფერზე გული გაუტყდა, ესე იგი, საშველი ნამდვილად აღარ არისო.

— მცდარი დასკვნა გაუკეთებიათ. ცალკეული პიროვნების ან მთელი კაცობრიობის ცხოვრებას ადამიანი რომ განაგებდეს, მაშინ შეიძლებოდა გული გაგვტეხოდა. მაგრამ როგორც პიროვნების, ისე მთელი კაცობრიობის ცხოვრებას ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი ძალა განაგებს. მსოფლიოს განვლილი ისტორია ამტკიცებს, რომ ეს ძალა სამართლიანი და კეთილია. მართალია, ამ ქვეყნად ბევრი უბედურება დატრიალებულა, მაგრამ საბოლოოდ მაინც კეთილს გაუმარჯვია. ჩვენ სინამდვილეს ამ ზოგადი კანონზომიერების კუთხით უნდა ვუყუროთ. მაშინ გული არ გაგვიტყდება არც მე და არც სხვებს. შეიძლება ადამიანი შეეწიროს უსამართლობას, უმადურობას, ცილისწამებას, მზაკვრობას, ვერაგობას, მაგრამ, თუ ცხოვრების გამოცდილებას დავუჯერებთ, უნდა ვიწამოთ, რომ ბოლოს მაინც ყველაფერი ისე ლაგდება, როგორც სამართლიანობა და კეთილშობილება ითხოვს. არსებობისათვის ნაძირალაც ისევე საჭიროა, როგორც კეთილშობილი. ოღონდ ადამიანს არჩევანის გაკეთება უნდა შეეძლოს. ვაი იმას, ვინც არჩევანს მცდარად გააკეთებს.

— ჩვენ მომავალი ჟურნალისტები ვართ. თქვენი აზრით, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც ჟურნალისტს აუცილებლად უნდა გააჩნდეს.

— ჩემი აზრით, უპირველესი თვისება, რაც ყველა სპეციალობის ადამიანს უნდა ჰქონდეს, არის ნიჭი. მაგრამ ეს ნიჭი უნდა იყოს პატიოსანი. რაც კაცობრიობას უბედურება მოსვლია, ყველაფერი მშიშარა და უპატიოსნო ნიჭის ბრალია. ამიტომ ჟურნალისტი არასოდეს უნდა ცდილობდეს სიტყვით ისარგებლოს და მოატყუოს ადამიანი, მიაწოდოს ცრუ ინფორმაცია, არ იცოდეს საქმე, რომელზეც წერს, არ შეამოწმოს ყველაფერი და არ აწონ-დაწონოს. ადამიანი შეიძლება ზოგჯერ შეცდეს. ბუნებრივია, ჟურნალისტებიც ცდებიან, მაგრამ გააჩნია შეცდომას: არის შეცდომა უნებლიე და არის „შეცდომა" საგანგებოდ გამიზნული. პატიოსანმა ნიჭმა არ უნდა იკისროს საგანგებო „შეცდომის" ჩადენა.

ცოდნას, განათლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჟურ-

უნდა იყოს!"

ნალისტისათვის, რადგან, გარდა იმისა, რომ ის ჟურნალისტია, კიდევ რომელიმე დარგში უნდა იყოს დასპეციალებული. მაგალითად, ჟურნალისტმა თუ ფიზიკა არ იცის, ფიზიკაზე კარგად ვერ დაწერს და ა. შ. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზევე უნდა ხდებოდეს მომავალი ჟურნალისტების დასპეციალება იმ დარგებში, რომელშიც ის იმუშავებს. მაგალითად, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, სპორტისა და ა. შ. როცა ამ დარგებში უკვე ექნება განათლება მიღებული, ბუნებრივია, იგი უკეთ იმუშავებს პრესაში.

აუცილებელია ენების ცოდნა. არა მარტო ისეთი პოპულარული ევროპული ენებისა, როგორიც ინგლისური, ფრანგული, გერმანულია, არამედ ქართველებისათვის საჭირო სპარსული, თურქული, იაპონური, ჩინური ენების შესწავლაც. ნათქვამია, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. თუ აქვს ნიჭი და საშუალება, ენების შესწავლისათვის ახალგაზრდამ დრო და ენერგია არ უნდა დაიშუროს. მაგრამ ჟურნალისტისათვის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც პატიოსნებაა. ნიჭი პატიოსანი უნდა იყოს!

ანა ბაზნიძე,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის განცხადება

მიმდინარე წლის 16 აპრილს უცნობი პირების მიერ დარბეულ იქნა წერეთლის გამზირზე, № 115-ში მდებარე ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის დიდუბის რაიონული ორგანიზაციის შტაბ-ბინა.

აღნიშნული ინციდენტის ორგანიზატორებმა შებღალეს კავშირის დროშა, უმოწყალოდ დალეწეს შტაბ-ბინის ინვენტარი.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირს მიაჩნია, რომ ეს არის არა მარტო კავშირის, არამედ მთელი ეროვნული მოძრაობის შეურაცხყოფა. მსგავსი ქმედება ჩვენს მიერ აღიქმება როგორც საქართველოს ნათელი იდეალების ღალატი.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პრესცენტრი.

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ბიზნესისა და ეკონომიკის ასოციაციის დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფის განცხადება

იქმნება საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ბიზნესისა და ეკონომიკის ასოციაცია. მისი მიზანია გააერთიანოს ეკონომიკითა და ბიზნესით დაინტერესებული ახალგაზრდობა, გაუწიოს პოპულარიზაცია საბაზრო (კაპიტალისტური ყოფის) ეკონომიკურ სტრუქტურას, ხელი შეუწყოს ბიზნესისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და მომავალი ბიზნესმენების აღზრდას.

დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდება ამა წლის 27 აპრილს სათნოების სახლის სააქტო დარბაზში.

მისამართი: დავით აღმაშენებლის, 121.

დელეგატთა და მოწვეულ პირთა რეგისტრაცია იწარმოებს დილის 10 საათიდან.

ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონებზე: 37-53-30; 99-70-64; 93-75-10; 37-08-49.

ასოციაცია „ამაღლების“ განცხადება

ასოციაცია „ამაღლება“ მოღვაწეობს რა ეროვნული ცნობიერების ამაღლების, ეროვნულ-ზნეობრივი იდეალების, ტრადიციების აღორძინება-განვითარების მიზნით. აუცილებელ პირობად მიიჩნევს შესაბამისი საქმიანობის ჩატარებას საქართველოს რეგიონებში. ამიტომ ასოციაცია ქმნის რეგიონალურ ორგანიზაციებს, რომელთაც ევალებათ:

1. ადგილობრივი მოსახლეობის სულიერი ამაღლებისათვის მოღვაწეობა, ზნეობრივი იდეალების განვითარება.

2. ადგილობრივი ტრადიციების აღორძინება, საზოგადოებრივი, საზოგადოებრივ-შემოქმედებითი ღონისძიებების მოწყობა.

3. რეგიონის ფარგლებში არსებული კულტურულ ძეგლთა მოვლა-პატრონობა.

4. კანონიერი ხელისუფლების მხარდაჭერა, უზნეობისა და უუფლებობის წინააღმდეგ ბრძოლა.

5. ადგილობრივი ტრადიციული სამეურნეო დარგების აღორძინება.

ასოციაციის ხელმძღვანელობა მზადაა დახმარება გაუწიოს ყველა დაინტერესებულ პირს თუ ორგანიზაციას, რომელიც გამოთქვამს ასოციაცია „ამაღლების“ რეგიონალურ ორგანიზაციად ჩამოყალიბების სურვილს.

ასოციაცია „ამაღლების“ დარბაზი.

ჩვენი მისამართია: ფალიაშვილის ქ. 57. დარეკეთ ყოველდღე 17 სთ-დან 20-მდე (კვირის გარდა); შაბათს 12-დან 16 სთ-მდე. თავმჯდომარის ტელეფონია: 99-85-77.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღები კომისიის განცხადება

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1990 წლის 25 ოქტომბერს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოაქვეყნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღები გამოცდების ჩატარების ახალი წესი, ხოლო იმავე წლის 13 ნოემბერსა და 1991 წლის 26 იანვარს გამოაცხადა, რომ მისაღები გამოცდები 1991 წელს ჩატარდება ახალი წესით — აბიტურიენტებს მიეცემათ დასაწერად არა თემა, არამედ კონკრეტული საკითხები. განცხადებებს მოჰყვა ამ სიახლის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა პოლემიკური წერილები. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროში არა ერთხელ შედგა თათბირი სამინისტროსა და უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელებისა, ასევე დარგის სპეციალისტებისა, ექსპერიმენტის სახით თბილისის რამდენიმე სკოლაში ჩატარდა წერა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ერთდროულად ტრადიციული და ახალი წესით, უნივერსიტეტში შედგა ღია კარის დღე. ახლახან, 21 მარტს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, პროფ. ბ. გიგინეიშვილმა მოიწვია თათბირი ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღები გამოცდების ორგანიზაციის თაობაზე. გათვალისწინებული იქნა პრესაში, თათბირებსა და ღია კარის დღეზე გამოთქმული შენიშვნები. გადაწყდა, რომ წელს წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ახალი წესით ჩატარდეს თბილისის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის, ხოლო დანარჩენ ფაკულტეტებზე აბიტურიენტებს წინადადებურად მოეთხოვოთ თხზულების დაწერა. ამასთან ერთად ახალ წესში შეტანილი იქნა ცვლილებები, კერძოდ, აბიტურიენტს მიეცემა სამი საკითხი: ტექსტი, ტექსტის ანალიზი, წინადადების გარჩევა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღები კომისია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დამატებით აცხადებს მიღებას ქართული სექტორის დღის სწავლების ფორმაზე შემდეგ სპეციალობებზე: „ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა“, „შრომის ორგანიზაცია და ნორმირება“, „იბერიულ-კავკასიური ენები“.

შემსვლელები აბარებენ შემდეგ გამოცდებს: სპეციალობაზე „ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა“ — მათემატიკა (წერა), ქიმია (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

სპეციალობაზე „შრომის ორგანიზაცია და ნორმირება“ — მათემატიკა (წერა, ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

სპეციალობაზე „იბერიულ-კავკასიური ენები“ — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

მიმღები კომისია

განცხადება

ამა წლის 27 აპრილს, დღის პირველ საათზე, პროფკავშირების კულტურის სასახლეში (ვაჟა-ფშაველას გამზირი № 43, მეტრო დელისი) გაიმართება ღვაწლმოსილი პედაგოგების — ლეო კვაჭაძის, დავით გონდაურის, ნინო თომაშვილის, ტატიანა ხაინდრავას, ლამარა ჟღენტის, ქეთევან სანიშვილისა და ნინო ციციშვილის საიუბილეო საღამო.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ხრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის მთავარი საკოორდინაციო საბჭო.

უურადღება!

ვაწყობთ შეხვედრას. მსურველებს ვთხოვთ მობრძანდნენ 1991 წლის 11 მაისს, დღის 13 საათზე თსუ I კორპუსის ეზოში.

ცნობებისათვის გთხოვთ დარეკოთ: **98-75-60, 95-78-83.**

უურადღება! უურადღება!

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს იუნესკოს განათლების ფონდი აცხადებს მსმენელთა მიღებას „ევროპული მენეჯმენტის პროგრამა“-ში მონაწილეობისათვის, რომელიც სემინარული მუშაობის სახით ჩატარდება თბილისში ა/წლის 6-დან 15 მაისამდე ვალონიის (ბელგია) მხარის საერთაშორისო მენეჯმენტის ინსტიტუტის წარმომადგენლების მიერ. ძირითადი საკითხებია: დასავლეთის ქვეყნებში მოქმედი მენეჯმენტის ტექნიკა, საბაზრო ეკონომიკური სიახლენი, წარმოების მართვა, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები და სხვა. სამუშაო ენა — ინგლისური. ჯგუფი შედგება 30 კაცისაგან. სემინარის შედეგების მიხედვით შერჩეული კანდიდატები მივლინებული იქნებიან ბელგიაში სტაჟირების გასავლელად. საბუთები მიიღება ა/წლის 29 აპრილამდე. გასაუბრება 30 აპრილს. სემინარში მონაწილეობის საფასურია 2500 მან.

მისამართი: დ. აღმაშენებლის პრ, 103. ტელ. 95-49-81.

საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის და ახალგაზრდულ ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის განცხადება

თბილისის ორგანიზაციების საყურადღებოდ!

1991 წლის 28 აპრილს, კვირას, ყველა წევრი ვალდებულია გამოცხადდეს შტაბბინაში რუსთაველის № 21-ში, გთხოვთ, თან იქონიოთ პასპორტები ან სამხედრო ბილეთები პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით.

ობიექტური ინფორმაციის უზრუნველსაყოფად

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ წერილით მიმართა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიას. საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ საზღვარგარეთ ობიექტური ინფორმაციის გატანა-გადაცემის უზრუნველსაყოფად პრეზიდენტს მიზანშეწონილად მიაჩნია:

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დედაქალაქებში მუდმივ სამუშაოდ მივლინებულ იქნენ საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ — საქინფორმის კორესპონდენტები;

მოსკოვში არსებულ უცხოეთის საელჩოებთან შეთანხმებით დაისვას საკითხი პარიტეტულ საფუძველზე საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში კულტურულ-საინფორმაციო ცენტრების გახსნის შესახებ, ამასთან ესა თუ ის ქვეყანა კისრულობს ვალდებულებას ჩვენი ერთი-ორი წარმომადგენლის მიღების, მის ბინით, სამუშაო ადგილით, ხელფასით, სატელეფონო და სატელექსო კავშირით, ტრანსპორტით უზრუნველყოფის თაობაზე. ანალოგიურ ვალდებულებებს იკისრებს ჩვენი რესპუბლიკაც.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გაერთიანებულმა საბჭომ საზღვარგარეთ მივლინებული პირები უნდა უზრუნველყოს შესაბამის ენაზე ნაბეჭდი და სხვა ინფორმაციით, ვიდეოკასეტებით, აუცილებელი ლიტერატურით.

პრეზიდენტს მიაჩნია, აგრეთვე, რომ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა მოამზადოს წინადადებანი უცხოეთის ქვეყნებზე მიმართული, რამდენიმე ენაზე მოუშვებელ საქართველოს რადიოსადგურის თაობაზე.

საქინფორმი

თუ გაქვთ სურვილი თქვენი მაღაზია, ფირმა, კოოპერატივი, ორგანიზაცია ლამაზად და ორიგინალურად გააფორმოთ სარეკლამო აბრებით და განათებებით, მიმართეთ თამარ მეფის ხიდთან მდებარე ხვამლის ქ. № 14-ში სარეკლამო გაფორმების უბანს.

თქვენ მოგემსახურებათ უმაღლესი კვალიფიკაციის მხატვრები, დიზაინერები და შემსრულებლები.

ცნობებისათვის დარეკეთ **დილის 11 საათიდან ხალამოს 21 საათამდე: ტელ: 95 -26-90.**

გთავაზობთ 3-დღიან მოგზაურობას ტრაპიზონში — ავტობუსით. ღირებულება 300 მანეთი და 85 დოლარია, საიდანაც 34 დოლარს მიიღებთ თურქეთის ტერიტორიაზე.

საგზური ითვალისწინებს ღამისთევას, 2-ჯერად კვებას, ავტობუსით მომსახურეობას და 1 ექსკურსიას, პასპორტებისა და ვიზების გაფორმებას.

საქართველოს უცხოეთის ტურიზმის გაერთიანება

გთავაზობთ 8-დღიან მოგზაურობას ინდოეთში 20-დან 28 ივნისამდე, მარშრუტით: თბილისი-ტაშკენტი-დელი-აგრა-დელი- ტაშკენტი-თბილისი.

საგზური ითვალისწინებს ღამისთევას ტაშკენტისა და ინდოეთის 5-ვარსკვლავიან სასტუმროებში, სამჯერად კვებას, ექსკურსიებს დელსა და აგრაში, არქიტექტურული ძეგლის ტაჯ-მახალის დათვალიერებას, თვითმფრინავის ბილეთის ღირებულებას: თბილისი-ტაშკენტი-დელი-ტაშკენტი-თბილისი, ავტობუსით მომსახურეობას ტაშკენტსა და ინდოეთში.

ღირებულება 2500 მანეთი და 372 ამერიკული დოლარია, რომლიდანაც 50 დოლარს მიიღებენ ინდოეთში.

ჩვენი მისამართია: თბილისი, რკინის შესახვევი № 6 (მეტეხის ხიდთან) ტელეფონები 93-04-86, 93-06-93.

უცხოეთის ტურიზმის მოგზაურობის სამმართველო.

გთავაზობთ 7-დღიან მოგზაურობას საბერძნეთში მარშრუტით: თბილისი-მოსკოვა-ათენი (3 დღე) — 4 დღეს დასვენება ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე პორტო-ჰელში-მოსკოვი-თბილისი.

საგზური ითვალისწინებს ღამისთევას, სამჯერად კვებას, ექსკურსიებს ათენის აკროპოლში, პორტო-ჰელში, თვითმფრინავის ბილეთის ღირებულებას თბილისი-მოსკოვა-ათენი-მოსკოვი-თბილისი, ავტობუსით მომსახურეობას საბერძნეთის ტერიტორიაზე.

ღირებულება 2200 მანეთი და 250 ამერიკული დოლარია, რომლიდანაც 50 დოლარს ტურისტები მიიღებენ საბერძნეთში.

მკლავჭიდის მოყვარულთა საყურადღებოდ

სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცური სახეობა მკლავჭიდი საქართველოში თავისი არსებობის სამიოდე წელიწადს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა საქართველოს მკლავჭიდის დამოუკიდებელი ეროვნული ფედერაცია და ჩვენი წარმომადგენლები უკვე წარმატებით გამოდიან მრავალ დიდ საერთაშორისო ტურნირებზე. ყველაზე ღიდი საერთაშორისო აღიარება კი შარშან, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხვდათ წილად ქართველ მკლავჭიდელებს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს უძლიერეს გუნდებთან პაექრობაში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მესამე ადგილი მოიპოვა, ასევე დიდი წარმატება ხვდა წილად მძიმეწონოსან ზაურ ცხვიტაძეს, რომელმაც პირად ჩათვლაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

და აი, მკლავჭიდის მოყვარულთ საშუალება ეძლევათ თავიანთი თვალით იხილონ საქართველოსა და მსოფლიოს უძლიერესი ათლეტები. 27 და 28 აპრილს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი „საქართველოს ღია ჩემპიონატი“ მკლავჭიდში. შეჯიბრება გაიმართება 59, 68, 80, 90 და მეტი წონით კატეგორიებში, ტურნირის ბოლოს კი გაირკვევა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის ვინაობა. აღსანიშნავია, რომ ცალკე გაიმართება შეჯიბრება ცალკიებისათვის...

მაშ, ასე — სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის ტრფიალთ გიწვევთ საინტერესო სანახაობაზე, სადაც მკლავჭიდელების გარდა მაყურებლებს ელოდებათ შოუ-კონცერტიც... მრავალად იქნება აგრეთვე ფასიანი სარეკლამო ბანერები და ფულადი პრემიები. ტურნირის შედეგების მიხედვით კი დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც მიწვეულია ევროპის ჩემპიონატზე (26 მაისი, შვეიცარია). დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს გთხოვთ, მიმართოთ საქართველოს სპორტის დეპარტამენტსა და მკლავჭიდის ეროვნულ ფედერაციას.

(ტურნირის დასაწყისი — 12 საათზე).

ლორეტიანი ტრიბუნა

გვირგის ხაინსირები პირველ საქველმოქმედო ილუსტრირებული გაზეთი „ლორეტიანი ტრიბუნა“ და ამავე სახელწოდების ფირმა „ბაგი“.

იშვიათი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიონალი **ადვოკატი ჯემალ მალაქშანიძე** აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას და რჩევა-დარიგებების მიცემას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე (საბინაო, სამემკვიდრეო, საოჯახო, შრომითი, ზიანის ანაზღაურების, საყოფაცხოვრებო დავების, ჩაწერა-ამოწერის ადმინისტრაციულ საქმეებზე, ასევე საპატიმრო სისხლის სამართლის საქმეებზე).

შრომის, სწავლის და ცხოვრების განსაკუთრებული პირობების გავლის გამო, ასევე საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის და მისი პრეზიდიუმის მიერ დანერგილი, მუშაობის მოწინავე პროგრესული ფორმების ღრმად შესწავლის გამოცდილებით, უამრავი ძნელად საწარმოებელი და ერთი შეხედვით უიმედო საქმეების დამუშავების, ასევე ასეთზე აურაცხელი დასკვნების გაცემისა და სპეციფიკური ალღოს მეშვეობით შეუძლია სწრაფი ანალიზი გაუკეთოს ძირითად საკითხს, არის თუ არა დარღვეული მთხოვნელის უფლება; ზუსტად აღმოაჩინოს სასამართლოს ან სხვა სამართლებრივი ორგანოების არსებითი დაუხეში შეცდომები; მისცეს კვალიფიციური დასკვნები კანონის მითითებით, რაც საფუძველი გახდება არასწორი დადგენილების გასაუქმებლად და დარღვეული უფლების აღსადგენად.

ფინანსურად ჭეშმარიტად გაჭირვებულ მოქალაქეებს ემსახურება უფასოდ, ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით.

მისამართი: ჩოღურეთის რაიონის იურიდიული კონსულტაცია, ნეკრასოვის ქ. №18, დავით აღმაშენებლის პროსპექტის დასაწყისთან (ყოფილ ვარანცოვის მოედანთან). ტელ: 95-75-63.

მიღება დილის 9 სთ-დან 11 სთ-მდე, საღამოს 4 სთ-დან 6 სთ-მდე.

ვ ი წ ვ ე ვ თ

ქართულ საბეჭდ მანქანაზე პროფესიული ჩვევების მქონე მემანქანეებს და კომპიუტერზე ინფორმაციის ამკრეფ ოპერატორებს სადღეღამისო ცვლებში სამუშაოდ. ანაზღაურება გამომუშავებით. მისამართი: **წერეთლის 130, V სართული კოლექტიური სარგებლობის საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი.** ტელეფონი **352644.**

9 აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტის მიმართვა

9 აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტი მოგმართავთ თხოვნით, რათა დახმარების ხელი გაუწოდოთ 9 აპრილს მოწამლულ ავადმყოფს 18 წლის ნინო ვიქტორის ასულ მჭედლიძეს, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროება ოპერაციის გაკეთება ამერიკის შეერთებული შტატების ქ. სიეტლის კლინიკაში.

დიაგნოზი: მწვავე ლეიკოზი.

მის სახელზე ჩოღურეთის რაიონის შემბანკის №3523/017 ფილიალში გახსნილია კერძო ანგარიში და წიგნაკი.

ანგარიშის ნომერია: 000164701

წიგნაკის ნომერია: 41810

ასევე გახსნილია საქ. საგარეო ეკონომბანკში სავალუტო ანგარიში.

ბანკის რეკვიზიტებია: ფონდი „ბანკირი“ საქ. საგარეო ეკონომბანკი

ანგ. № 670802600 მფო 805227

წინასწარ გიხდით მადლობას.

საქ. ეკონომიკური აღორძინების

კავშირისა და 9 აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტი.

ასოციაცია „აღორძინება“

ფირმა „არგო“

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი ფირმა „ჰუმანიზმი“

აცხადებს იუმორის, სიცილის, ანეკდოტების, კაფიების, პაროდიების, შაირების რესპუბლიკურ კონკურსს

სიცილი-91

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, როგორც პროფესიონალ, ისე არაპროფესიონალებს, ტალანტებს. მსურველებმა 15 მაისამდე უნდა გაიარონ წინასწარი რეგისტრაცია შესარჩევ ტურებში მონაწილეობის მისაღებად შემდეგ მისამართზე: ლერმონტოვის ქ. №19 (თავისუფლების მოედანთან).

შეგიძლიათ ტელეფონითაც დაგვიკავშირდეთ 93-20-76.

კონკურსში გამარჯვებულებს ელით

პირველი პრემია — 3000 მან.

მეორე პრემია — 2000 მან.

მესამე პრემია — 1000 მან.

აგრეთვე ფასიანი პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები. ყველა დაწვრილებით ცნობას ჩვენთან შეიტყობთ.

ნუ დაკარგავთ შანსს, იჩქარეთ!!!

სიცილის დღესასწაულის სპონსორია ფირმა „არგო“.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

თბილისის მეცნიერებისა და ტექნიკის სახლი

აგრძელებს მიღებას საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების შემსწავლელ სამთვიან კურსებზე, სადაც მსმენელები, გარდა ზემოაღნიშნულისა, გაეცნობიან საწარმოთა ფუნქციონირების საფუძვლებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აგრეთვე — საგარეო ეკონომიკური კავშირების წარმართვისა და მარკეტინგის პრაქტიკულ გამოყენებას, საწარმოთა ფინანსების, ფასწარმოქმნისა და სხვა საკითხებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კოოპერატივების საბუღალტრო აღრიცხვის საკითხებს.

მისამართი: დ.აღმაშენებლის პროსპექტი №79.

კურსები სამეურნეო ანგარიშზეა. დამთავრების შემდეგ მსმენელები მიიღებენ სათანადო მოწმობას.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ტელ. 95-30-35, 95-78-15.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ყურადღება!

თუ თქვენ გსურთ ბავშვების აღმზრდელის, მოხუცების, ავადმყოფების მომვლელის ბინაზე აყვანა, მიმართეთ ფირმა **„ჰუმანიზმის“** სერვის ბიუროს.

მისამართი: ლერმონტოვის ქ.№19 (თავისუფლების მოედანთან).

ტელეფონი: 93-20-76

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ყურადღება!

ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენის მიერ წამოწყებულ ჰუმანიტარულ მოძრაობას დიდუბის და ძთაწმინდის რაიბინსოცბანკების თანამშრომლებიც შეუერთდნენ. მათ მიერ შეგროვილ პროდუქტებს ასოციაციის წევრები ჩვენს ყველაზე გაჭირვებულ თანამოქალაქეებს ამ შაბათს ბინებზე მიაწვდიან.

სათნოების ორდენი

(ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“)

სარედაქციო განცხადება

23 აპრილის „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია — „სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების კონფერენცია“, რომელშიც ჰასუხისმგებელი მოროგისა და კორექტორის უყურადღებობის შედეგად დაშვებულია შეცდომა. პირველი აბზაცის მეორე წინადადებაში უადგილოდაა ჩასმული კითხვის ნიშანი. რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველებს და მერაბ კოსტავას საზოგადოებას.

ავტომანქანებისათვის გთავაზობთ!

საბჭოთა წარმოების ავტომანქანების გატაცების საწინააღმდეგო უნივერსალურ მოწყობილობას (სიგნალიზაციას).

მოგვმართეთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1.

ტელეფონი: 37-06-64, 37-58-25.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხაილი — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 95-51-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ყურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, ვ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 ვ. კოსტავას ქ. № 14.